# საერთო გაზეთი

№37 (587) • 18 ნოემბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## აქა ამბავი პოლიტიკური „სვავების“ „აღმოჩენებზე“ და ვოლსკის „ვოლსკობაზე“



## „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებო, 21 ნოემბერს ყველანი არჩევნებზე! ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა!

## როგორც 2020 წლის არჩევნები ჩატარდა, ასე სამართლიანად საქართველოში არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა



## პოლიტიკოსები კი არა კორონადისტრიბუტორები ხართ თქვენ, ოპოზიციონერებო, სიკვდილის დისტრიბუტორები, სიკვდილის გამავრცელებლები, სიკვდილის მოციქულები



რამდენიმე დღეში სააკაშვილი გასცემს ბრძანებას, რომ „ნაცმოძრაობამ“ შეწყვიტოს ბოიკოტი და პარლამენტში შევიდეს!

## სენსაციური პროგნოზი: „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში შედის!

## ორი გრიგოლი, ორივე ვაშაძე, ორივე ჩათლახი







## „სახალხო ქალბატონი“ ანუ ომბუდსმენი ლომჯარა

ავთანდილ არაბული

## აქ ქვანიც ღაღადებენ...





## ომი დამთავრდა! მშვიდობის გეშინოდეს, საქართველო!

## რატომ უნდა დასახლდნენ ყარაბაღიდან დევნილი სომხები უძველეს ქართულ მიწაზე – აფხაზეთში და არა სომხეთში?!

# სენსაციური პროგნოზი: „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში შედის!

## რამდენიმე დღეში სააკაშვილი გასცემს ბრძანებას, რომ „ნაცმოძრაობამ“ შეწყვიტოს ბოიკოტი და პარლამენტში შევიდეს!



**გთავაზობთ ინტერვიუს ადამიანთან, რომელიც კარგად არის ჩახედული „ნაცმოძრაობის“ კულუარებში და ბევრ საინტერესო ინფორმაციას ფლობს.**

„სულ რამდენიმე დღეში სააკაშვილი აუცილებლად გასცემს ბრძანებას, რომ „ნაცმოძრაობამ“ და ე.წ. გაერთიანებულმა ოპოზიციამ შეწყვიტოს ბოიკოტი და პარლამენტში შესვლაზე თანხმობა განაცხადოს.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სააკაშვილის მოწოდება მიმართული იქნება არა მთლიანად იმ შვიდი პარტიის მისამართით, რომლებმაც ბარიერი გადალახეს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი სატელიტი გაერთიანებული ოპოზიციისადმი.

რა მაძლევს ამ თამამი პროგნოზის გაკეთების საშუალებას?

„ნაციონალური მოძრაობის“ პარლამენტში შესვლის რეკომენდაცია უკვე გაცემულია და რამდენიმე დღის წინათ ის უკვე გაჟღერდა გრიგოლ ვაშაძის ბაგეთაგან.

მართალია, ვაშაძის განცხადებას მალევე მოჰყვა მისი მეორე განცხადება, რომელიც, როგორც ირკვევა, სულაც არ იყო მისი და „ნაცმოძრაობის“ თვითგამოცხადებული ცენზორის — გვარამიას, კალამს ეკუთვნოდა.

ეს რომ იყო, გრიგოლ ვაშაძის მომდევნო საჯარო გამოსვლებითაც დადასტურდა, სადაც მან უყოყმანოდ გაიმეორა ის, რაც პირველ განცხადებაში თქვა, რითაც უტყუარად დადასტურდა, რომ ამ პირველი განცხადების ტექსტი თავიდან ბოლომდე მიხეილ სააკაშვილთან იყო შეთანხმებული, უფრო ზუსტად, ეს სააკაშვილის ტექსტი იყო, რომელიც მან ვაშაძის ხელით შემოაგდო ქართულ სივრცეში.

„ნაცმოძრაობაში“ დიდი ალიაქოთი ატყდა — ვაშაძის ეს განცხადება „ნაცმოძრაობასთან“ და მის მმართველ ელიტასთან არ იყო შეთანხმებულიო.

მელიასთან, გოცირიძესთან, გვარამიასთან და ბოკუჩავასთან ალბათ არ იყო შეთანხმებული, მაგრამ, სამაგიეროდ, სააკაშვილთან იყო შეთანხმებული, თორემ გრიგოლ ვაშაძეს ორი თავი ხომ არ აქვს, ერთი მიშიკოსთვის მიეშვირა მოსაჭრელად, მეორე კი თავისთვის დაეტოვებინა.

ამასთან ერთად ვაშაძისთვის ნათელი იყო, რომ მის თვითნებობას აუცილებლად მოჰყვებოდა გამანადგურებელი დარტყმა სააკაშვილის, განსაკუთრებით კი მიშიკოს ბიძის, ვაშაძის კოლეგის, თემურ ალასანიას მხრიდან, რის შემდეგაც ვაშაძისგან, ალბათ, მხოლოდ ულვაშები დარჩებოდა.

ასე რომ, მითი ვაშაძის მეამბოხეობის შესახებ მითია და სხვა არაფერი.

როგორც ვთქვით, მიხეილ სააკაშვილი სულ მალე გასცემს ბრძანებას „ნაცმოძრაობამ“ შეწყვიტოს ბოიკოტი, შევიდეს პარლამენტში და იქიდან გააგრძელოს ბრძოლა.

სააკაშვილი ხვდება, რომ გაუთავებელი მიტინგები და აქციები სულ უფრო და უფრო აღიზიანებს პანდემიით თუ მძიმე სოციალური პრობლემებით ისედაც უკიდურესად შეჭირვებულ და გაღიზიანებულ მოსახლეობას და სანამ ეს გაღიზიანება „ნაცმოძრაობის“ მიმართ დიდ აღშფოთებასა და პროტესტში არ გადაზრდილა, ის შეეცდება განმუხტოს სულ უფრო და უფრო მზარდი ეს უარყოფითი განწყობა მისი და მისი პარტიისადმი და ერზე მზრუნველ, ერის ბედით შეწუხებულ მამულიშვილად მოგვევლინოს, რომელიც საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესებს აყენებს.

სააკაშვილს მეორე, მისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანიც ამოძრავებს — ეს არის კიდევ ერთხელ დემონსტრირება იმისა, რომ „ნაცმოძრაობაა“ ის მთავარი ძალა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგს ადგენს და აკანონებს, ხოლო სხვა დანარჩენი პარტიები, ფაქტობრივად, არაფერს წარმოადგენენ. ისინი იძულებულნი იქნებიან აკეთონ ის, რასაც „ნაცმოძრაობა“ უკარნახებს.

სააკაშვილმა იცის, რომ ოპოზიცია „ნაცმოძრაობის“ გარეშე საპროტესტო მუხტს დიდხანს ვერ შეინარჩუნებს. ამიტომაც უნდა მას, რომ ოპოზიცია მარტო დატოვოს — ამით დასაჯოს და შური იძიოს მასზე, იმ აბუჩად ამგდები ტონის გამო, რითაც მას ოპოზიციის ლიდერები იხსენიებენ ხოლმე.

ოპოზიციის თითქმის ყველა ლიდერმა ღიად განაცხადა, რომ სააკაშვილი არაფერში არ სჭირდებათ და უიმისოდაც ადვილად მიაღწევენ მიზანს.

— კი, ბატონო, ვნახოთ, „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში რომ შევა, მერე რამდენ ათასს გამოიყვანს ქუჩაში ბოკერია, ხაზარაძე, ელისაშვილი, ნათელაშვილი და სხვები, რომლებსაც, როგორც ჩანს, სხვისი მოყვანილი ლაშქარი თავისი ჰგონიათ, — ასე ფიქრობს სააკაშვილი და წინასწარ ტკბება ოპოზიციის გარდაუვალი მარცხით.

სააკაშვილს თავისიანებშიც მრავლად ეგულება მოღალატეები, რომლებიც, მისი აზრით, სააკაშვილის პროცესებიდან მოტეხვას ცდილობენ და დამოუკიდებელ თამაშს თამაშობენ.



სააკაშვილი ვარაუდობს, რომ „ნაცმოძრაობის“ პარლამენტში შესვლით, ამ შიდა მეამბოხეების და ორგულების ლუსტრაციაც მოხდება და ის უმტკივნეულოდ გააძევებს ამ ოპორტუნისტულ ჯგუფს „ნაცმოძრაობის“ რიგებიდან.

თუ კარგად დავაკვირდებით პროცესებს, აღმოვაჩენთ, რომ ბრძოლა მიდის არა მხოლოდ ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ გააფთრებული ბრძოლა მიდის ოპოზიციის შიგნით, დევიზით — ყველა, მინუს ერთი!

სააკაშვილმა იცის, რომ ეს „მინუს ერთი“ თვითონ არის, ამიტომაც ის ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს დევიზი ამოატრიალოს და ახალი ფორმულა შემოგვთავაზოს — ერთი, მინუს ყველა!

მან არჩევნების წინ ერთხელ უკვე განაცხადა, რომ „ნაცმოძრაობას“ ამ ბრძოლაში მოკავშირეები არ სჭირდება!

ისიც გემახსოვრებათ, რომ ამ განცხადების გაკეთება ვანო მერაბიშვილის სახელს დაუკავშირეს — თითქოსდა მან ურჩია სააკაშვილს, რომ ზურგზე წამოკიდული ზედმეტი ბარგისგან — წვრილ-წვრილი პარტიების ტვირთისგან განთავისუფლებულიყო და დამოუკიდებლად, ერთი-ერთში ებრძოლა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ.

ამ იდეას „ნაცმოძრაობის“ შიგნით ჰყავს, როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეებიც.

ამ დაპირების გამოძახილი იყო შაბათს გამართულ აქციაზე უხვად გამოფენილი პლაკატები ერთი საერთო შინაარსით: **ვითხოვთ სააკაშვილს!**

აქციის შემდეგ გაკეთებულ კომენტარებში ბარიერგადალახული პარტიების ლიდერებმა ერთხმად განაცხადეს, რომ **ისინი სააკაშვილს არ ითხოვენ! მათ სააკაშვილი არ სჭირდებათ!**

ახლა სააკაშვილის პასუხის დრო დადგა, მისი პასუხი კი ასეთი იქნება: **„ნაცმოძრაობა“ პარლამენტში!**

სააკაშვილი იმედოვნებს, რომ ამ პასუხით ორ და სამს კი არა ბევრ კურდღელს დაიჭერს ერთად და გაამპარტავნეულ ოპოზიციასაც, რომელიც კარგა ხანია მის „გაფარჩაკებას“ ცდილობს, იქით „გააფარჩაკებს“.

**...მოვლენათა განვითარების ასეთი ვერსია შემოგვთავაზა ჩვენმა რესპონდენტმა, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა.**

**ვნახოთ ეყოფათ გამჭრიახობა და პრაგმატული აზროვნების უნარი „ნაციონალებს“, რომ ის, რაც ამ წერილში ითქვა, რეალობად აქციონ, თუ კვლავ იმ სულელური დემაგოგიის გზას გააგრძელებენ, რომელსაც ხელახალი არჩევნების მოთხოვნა ჰქვია?!**

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# სიკვდილის დისტრიბუტორები

## პოლიტიკოსები კი არა კორონადისტრიბუტორები ხართ თქვენ, ოპოზიციონერებო, სიკვდილის დისტრიბუტორები, სიკვდილის გამავრცელებლები, სიკვდილის მოციქულები



**„ნაციონალურ მოძრაობას“ უფლება არ აქვს** საქართველოზე ილაპარაკოს, რადგან საქართველოა ის ქვეყანა, რომლის 20%-ი „ნაცმოძრაობამ“ მტერს უფეშქაშა.

**„ნაციონალურ მოძრაობას“ უფლება არ აქვს** ქართველ ხალხზე და ქართველი ხალხის სახელით ილაპარაკოს, რადგან სწორედ ქართველ ხალხს მიაყენა მან უდიდესი ფიზიკური, მორალური, ფსიქოლოგიური ზიანი.

მიუხედავად ამისა, გასაოცარი და საკვირველი ამბავი მოხდა — აი, ასეთმა და ამნაირმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამომრჩეველთა ხმების 27%-ი მიიღო, რაც დაახლოებით 600 000 ადამიანს უდრის.

**თავისი ქვეყნის და თავისი ერის პატივისმცემელ ქართველ კაცს, რომელსაც საქართველოზე ასე თუ ისე კარგი წარმოდგენა აქვს, არ სჯერა ამ ციფრების და არ შეუძლია ირწმუნოს, რომ მის სათაყვანებელ საქართველოში, უძველესი კულტურის და ცივილიზაციის ქვეყანაში, 600 000 შლეგი და გონებაჩლუნგი ქართველი ცხოვრობს, რომელსაც შეუძლია ხმა მკვლელების, ბანდიტების, ქვეყნის მოღალატეების და გამყიდველების პარტიას მისცეს.**

— 600 000-მა კი არა გაცილებით მეტმა დაგვიჭირა მხარი, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები გააყალბა და ხმები წაგვართვაო, — აცხადებენ ნაცები.

— მაინც რამდენი ხმა წაგართვეს? თქვენ ხომ ყველა ოქმის ასლი გაქვთ? კომპიუტერი გაქვთ, კალკულატორი გაქვთ, აიღეთ და დათვალეთ, რამდენი ხმა წაგართვათ „ქართულმა ოცნებამ“, რამდენი ხმა მიიღეთ სინამდვილეში? — ჰკითხეს „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს.

„ნაცმოძრაობა“ კატეგორიულად დუმს და ცოცხალი თავით არ ამხელს რამდენი პროცენტი მიიღეს ამ არჩევნებში. 27%? 37%? 47%? 57%?.

ჩვენი აზრით, იცით, რა არის მათი დუმილის მიზეზი?

რა არის და ის, რომ „ნაციონალებმა“ დანამდვილებით იციან, რომ მათთვის არავის არაფერი არ მოუპარავს, ისე როგორც არავის არაფერი არ მოუპარავს სხვა პარტიებისთვის.

ელემენტარული ლოგიკით, ძალიან მარტივი არითმეტიკული დათვლით, „ნაცმოძრაობას“ არ შეიძლება ბევრი მხარდამჭერი ჰყავდეს, თუ დავიანგარიშებთ, მიახლოებით რაოდენობას იმ ადამიანებისა, რომლებიც არავითარ შემთხვევაში ხმას არ მისცემდნენ „ნაცმოძრაობას“.

და იცით რამდენი შეიძლება იყოს ასეთი ადამიანების რაოდენობა?

რამდენი შეიძლება იყოს და დაახლოებით მილიონნახევარი ადამიანი.

საიდან მივიღეთ ეს ციფრი?

საიდან მივიღეთ და „ნაცმოძრაობის“ მიერ რეპრესირებული ადამიანების რაოდენობა (რეპრესირებულთა კატეგორიაში ხვდებიან „ნაცმოძრაობის“ მიერ „ჩარეცხილი“ ინტელიგენცია, პრობაციონერები, ყოფილი პატიმრები, ადამიანები, რომლებსაც კერძო საკუთრება წაართვეს და ა.შ.) გადაამრავლეთ მათი ოჯახების წევრთა რაოდენობაზე (საშუალოდ, 3–4 კაცზე) და ამ ციფრს (ცოტა მეტსაც კი) მიიღებთ.

როცა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა სულ სამი მილიონია და აქედან, მილიონ ნახევარი ხმას არ გაძლევს, როცა მილიონნახევრიან ქალაქში, თბილისში, ათიათასიანი მიტინგის სამყოფ ხალხს ვერ აგროვებ და რეგიონებიდან ჩამოგყავს ადამიანები, მერე როცა იგივე ადამიანებს მიტინგიდან მიტინგზე დაატარებ, რადგან არც რეგიონებში გყავს საკმარისი მხარდამჭერები, ხომ საინტერესოა, საიდან ლაგდება ასე დასტა-დასტად 540–600 ათასი ბიულეტენი საარჩევნო ყუთებში შენს სასარგებლოდ?

იმას, რაც მე ახლა ვილაპარაკე, არა აქვს სერიოზული ანალიზის პრეტენზია. ეს უფრო ზერელე და ზედაპირული ვერსიაა, რადგან მე არ მაქვს წვდომა ზუსტ ციფრებთან, ზუსტ საბაზო მონაცემებთან, მაგრამ ხელისუფლებას ხომ საკმაოდ ბევრი ისეთი სტრუქტურა აქვს, რომელიც ზუსტ მონაცემებსაც უნდა ფლობდეს და, შესაბამისად, ზუსტ ანალიზსაც უნდა აკეთებდეს, თუ ადამიანთა რა კატეგორიებისგან შედგება ქართული ელექტორატი.

ალბათ, კეთდება ეს სამუშაოები, მაგრამ თუ კეთდება, პოლიტიკური კაფიების დონეზე რატომ ვეშაირებით „ნაციონალურ მოძრაობას“ და რატომ არ ვესაუბრებით ციფრების ენით, ფაქტების ენით, სტატისტიკის ენით, რომელიც მათ დემაგოგიურ და ფარისევლურ გამოხტომებს გააშიშვლებს?

●

— ხალხს არჩევნები მოპარეს! უნდა დაინიშნოს ხელახალი არჩევნები. ხალხი აღშფოთებულია! — ირწმუნებიან ოპოზიციური პარტიები.

**ხალხი მართლაც აღშფოთებულია, ოღონდ მხოლოდ ის ხალხი კი არა, რომელიც პარლამენტის წინ დგას, არამედ აღშფოთებულია ის ხალხიც, რომლებმაც „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა და ვიღაც-ვიღაცები ახლა ამ ხმების წართმევას და მათი არჩევანის ანულირებას აპირებენ.**

— 950 000 ადამიანის (ამომრჩეველთა ამ რაოდენობამ დაუჭირა მხარი „ქართულ ოცნებას“) აღშფოთება რატომ არ არის ანგარიშგასაწევი და ყურადსაღები? 950 000 ადამიანის არჩევანს რატომ არ უნდა ვცეთ პატივი მხოლოდ იმის გამო, ვიღაცას მოელანდა, რომ არჩევნები გააყალბესო? – აღშფოთებას ვერ მალავენ ეს ადამიანები და თუ ასე გაგრძელდა, თავიანთი აღშფოთების ძალიან მკაცრ ფორმებში გამოხატვას აპირებენ.

როგორი სასაცილო და ცინიკურია, როცა ოპოზიცია მაღალფარდოვნად, პატრიოტულ-ჰეროიკულ ტონალობაში ლაპარაკობს ქართველ ხალხზე, ლაპარაკობს ქართველი ხალხის სახელით და ამ დროს ქართველ ხალხში მხოლოდ თავის მხარდამჭერებს გულისხმობს და აბუჩად იგდებს იმ მილიონამდე ქართველის აზრს, რომლებიც არაფრით არ არიან ოპოზიციის მხარდამჭერ ქართველებზე ნაკლები ქართველები.

ვინ მოგცათ თქვენ ამის უფლება, ვინ აღგჭურვათ ამ უფლებით, ვინ დაგნიშნათ საქართველოს ბედ-იღბლის გამგებლად და გამრიგედ?

ერთი კარგად ჩაიხედეთ სარკეში, კარგად შეათვალიერეთ საკუთარი თავი, კარგად გაიხსენეთ, საიდან მოდიხართ და რა წარსულით მოდიხართ — ერთი კაცი არ ურევია თქვენში ისეთი, რომელზეც უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი მამულიშვილია, ნამდვილი პატრიოტია, რომელსაც უყოყმანოდ შეუძლია ქვეყნისთვის თავი გაწიროს.

ნამდვილი მამულიშვილები და ნამდვილი პატრიოტები ისე არ იქცევიან, როგორც თქვენ იქცევით.

თქვენ რომ მამულიშვილები და პატრიოტებინ იყოთ, უკიდურესი გაჭირვების დროს, საშინელი ეპიდემიისა და, ჟამიანობის დროს, როცა ყოველდღიურად ათობით ქართველი იღუპება, ქვეყანას კი არ დააშანტაჟებდით, ქვეყანას პროვოკაციებს კი არ მოუწყობდით, ვაჭრუკანობას კი არ დაიწყებდით — მკლავებს დაიკაპიწებდით და ამ ძნელბედობის ჟამს ქართველ ხალხს ამოუდგებოდით გვერდით. თქვენ კი, რადგან იმდენი ხმები ვერ აიღეთ, რამდენიც გვინდოდა, პარლამენტში არ შევალთო.

**არ შეხვალთ და ნუ შეხვალთ — არც თქვენი პარლამენტში შესვლით მოემატება რაიმე საქართველოს და არც თქვენი არშესვლით დააკლდება.**

ომია დღეს მთელ მსოფლიოში, ომია საქართველოშიც, ომი უხილავ, ვერაგ, დაუნდობელ მტერთან, ამ დროს კი თქვენ ამ ვერაგი მტრის ფარული მოკავშირე გამხდარხართ, ზურგსუკან სამარეს გვითხრით, თანაც ხმამაღლა და თავმომწონედ ამბობთ, ჩვენ ნათელ მხარეს ვდგავართ და თქვენც აქეთ გადმოდითო.

**ნათელ მხარეს კი არა სიკვდილის მხარეს დგახართ თქვენ, წყვდიადის და არყოფნის მხარეს დგახართ და ამიტომაცაა მიტინგებზე კუბოებს რომ დაათრევთ…**

როგორც ვთქვი, ომია დღეს საქართველოში, ომის დროს კი ბევრი რამ, რაც შეიძლება მშვიდობიანობის პერიოდში დასაშვები და მოსათმენი იყოს, იკრძალება და იზღუდება.

ის რასაც თქვენ დღეს, ამ უმძიმეს ვითარებაში აკეთებთ, სინამდვილეში სისხლის სამართლის დანაშაულია, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დივერსიაა, ხოლო ვითომდა არჩევნების გაყალბება მხოლოდ კარგად აპრობირებული საბაბი და მოტივია, რომელსაც თქვენი ნეანდერტალელი პოლიტიკური წინაპრები — სააკაშვილები, ბარამიძეები, გოგორიშვილები, ბოკერიები, ბურჯანაძეები, უგულავები, ჯერ კიდევ 2003 წლიდან იყენებდნენ და დღემდე იყენებენ სახელმწიფოს გადასატრიალებლად და მისატაცებლად.

დიახ, თქვენ სისხლის სამართლის დამნაშავეები ხართ თუნდაც იმიტომ, რომ ამ კორონა-პანდემიისას თქვენი მიტინგებით და აქციებით მიზანმიმართულად, წინასწარგანზრახვით ავრცელებთ მომაკვდინებელ ვირუსს.

თქვენ პოლიტიკოსები კი არა კორონადისტრიბუტორები ხართ, სიკვდილის დისტრიბუტორები ხართ, სიკვდილის გამავრცელებლები, სიკვდილის მოციქულები.

ქვეყნის სიყვარული არ გაქვთ, ქართველი ხალხის რიდი და პატივისცემა არ გაქვთ, სინდისი არ გაქვთ, თანაგრძნობისა და თანალმობის უნარი არ გაქვთ და თქვენ აპირებთ საქართველოს აშენებას და დამშვენებას, თქვე უნამუსოებო?

ხელახალი არჩევნები გვინდაო, აგიჩემებიათ.

ხელახალი არჩევნებიც რომ დაინიშნოს, მეორედაც რომ დამარცხდებით, მერე ისევ ხელახალ არჩევნებს მოითხოვთ, მესამედაც რომ ჩაფლავდებით, მერე მეოთხედ მოითხოვთ არჩევნებს და ასე გააგრძელებთ უსასრულოდ, სანამ ამ ქვეყანას დიდ უბედურებას არ გადაყრით.

— მოლაპარაკებებზე დავდივართ, ხელისუფლება დათმობაზე უნდა წავიდეს, შეთანხმება უნდა შედგეს – ისეთი რიხით ლაპარაკობთ, თითქოს ეს ხელისუფლება რომელიღაც უცხო სახელმწიფოს ხელისუფლება იყოს.

იმდენად გონებაჩლუნგები ხართ, იმასაც კი ვერ ხვდებით, საკუთარ ქვეყანას რომ გამოუცხადეთ ომი.

რაზე უნდა მოგელაპარაკონ თქვენ, რაზე უნდა შეგითანხმდნენ, რა უნდა დაგითმონ — შედით პარლამენტში, თუ გინდათ, თუ არ გინდათ, ნუ შეხვალთ და ნუ გვაშინებთ — თუ არ შევალთ, ერთპარტიულ პარლამენტს მიიღებს ხელისფლებაო.

მერედა, ვის ეკისრება ამაზე პასუხისმგებლობა — ხელისუფლებას თუ თქვენ, რომლებიც პარლამენტში შესვლაზე უარს აცხადებთ?

თუ კვლავ გააგრძელებთ ქართველი ხალხის დაშანტაჟებას, ქართველ ხალხზე ძალადობას, ქართველი ხალხი დაგწყევლით, შეგაჩვენებთ და მოგიკვეთთ თქვენ!

**ვახტანგ ხარჩილავა**



# როგორც 2020 წლის არჩევნები ჩატარდა, ასე სამართლიანად და გაუყალბებლად საქართველოში დიდი ხანია არჩევნები არ ჩატარებულა

***გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ. პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:***

**— ქალბატონო ნანა, „ნაციონალებმა“ 31 ოქტომბერს უკვე იზეიმეს გამარჯვება, მეორე დღეს კი ყვირილი ატეხეს: არჩევნები გაგვიყალბესო. თქვენი აზრით, როგორ ჩატარდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები?**

— დავიწყოთ იქედან, რომ არჩევნები იდეალურად აშშ-იც კი არ ჩატარებულა. იქაც, საპრეზიდენტო არჩევნების დროს საუბარია იმაზე, რომ იმ მასშტაბის გაყალბება მოხდა, რაც ამერიკის ისტორიაში აქამდე, არასდროს ყოფილა. რამდენიმე დღის წინ ტრამპმა მილიონიანი მარში მოაწყო — ხალხი გაყალბებული არჩევნების გასაპროტესტებლად ქუჩაში გამოვიდა. რაც მთავარია, ტრამპი სამართლებრივი გზით იბრძვის, ცდილობს დაამტკიცოს, რომ არჩევნები გაყალბდა, მტკიცებულებებს სასამართლოს გზით პოულობს, რაც ჯანსაღი პროცესია. რა თქმა უნდა, როცა პოლიტიკაში ხარ სიმართლის დასადგენად სწორედ სამართლებრივი, კანონიერი გზებით უნდა იბრძოლო, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ პოლიტიკურ რეალობაზე. მოგახსენებთ, რას ვგულისხმობ: ძალა რომელიც ამტკიცებს, თითქოს, არჩევნები გაყალბდა, სიცრუეს ტირაჟირებს. მინდა გითხრათ, რომ ასე სამართლიანად, გაუყალბებლად საქართველოში არჩევნები დიდი ხანია არ ჩატარებულა, რასაც საფუძვლად უდევს ყველა სოციოლოგიური კვლევა, თავად, „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩატარებულიც კი. დიახ, იმ კვლევებითაც კი რაც ტელეკომპანიებმა „მთავარმა“, „ფორმულამ“, „ტვ-პირველმა“, „რუსთავი-2-მა“, ასევე, რიგმა არასამთავრობოებმა გამოაქვეყნეს, შეიძლება ითქვას, რომ ცესკოს შემაჯამებელ ოქმს ერთი-ერთში დაემთხვა. ცდომილება, მხოლოდ, 1–2% იყო. მაშინ, როდესაც იგივე „ნაცმოძრაობის“ დროს კვლევებში ცდომილებები 20–25% იყო. რაც მთავარია, პარალელური დათვლის შედეგებიც დაემთხვა, რომელიც „სამართლიანმა არჩევნებმა“ ჩაატარა. მან ოპოზიციას კიდევ უფრო დაბალი პროცენტები გამოუქვეყნა, ვიდრე ცესკომ. შემაჯამებელი ოქმები, პარალელური დათვლები, ყველა სოციოლოგიური კვლევები, ფაქტობრივად, შედეგების იდენტურია. დღეს გაყალბებაზე საუბარი მხოლოდდამხოლოდ საბაბია იმისთვის, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. ვხედავთ, რომ 32 პარტია რომელიც ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს, ამას ვერ ახერხებს. იმდენი ადამიანიც ვერ გამოჰყავთ ქუჩაში, რამდენი პარტიაც არის გაერთიანებული ამ ერთობაში. ანუ, საზეზეა შემდეგი: ამ მარგინალურ, კრიმინალურ პარტიებს ხალხის მხარდაჭერა არ აქვთ. ეს არ ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ იდეალურია. არა! მაგრამ ოპოზიცია იმდენად ცუდი და უვარგისია, რომ ქართველი ხალხი „ქართულ ოცნებას“ ირჩევს. აი, ასეთი არჩევანის წინაშე ვართ. არჩევნების მოსაგებად „ქართულ ოცნებას“ არავითარი გაყალბება არ სჭირდებოდა. ოპოზიცია თავისი უვარგისობითვე უბიძგებს ქართველ ამომრჩეველს ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცენ.

**— სამ დღეში მეორე ტურია, თუმცა, ოპოზიცია მონაწილეობაზე უარს აცხადებს. ლეგიტიმურობის საკითხი ეჭვქვეშ ხომ არ დადგება?**

— ოპოზიცია ლეგიტიმურობის საკითხს ვერ დააყენებს, ეს აფსურდია. ამ არჩევნებს აქვს საერთაშორისო მხარდაჭერა, შეფასება. კომისიის წევრებს და ვერც თავიანთ კანდიდატებს ასე მარტივად ვერ გამოიწვევენ იმიტომ, რომ ისინი უკვე დაბეჭდილ ბიულეტენებში არიან შეყვანილი და იგი ხელახლა ვეღარ დაიბეჭდება, ამას კანონი არ ითვალისწინებს. ასე, რომ არჩევნები შედარებით მშვიდ ვითარებაში ჩატარდება. ცუდი ის არის, რომ ქვეყანაში ოპოზიცია არ გვყავს. ხელისუფლებას, ფაქტობრივად, ერთმნიშვნელოვნად აქვს უმრავლესობის მხარდაჭერა. ანუ, მან იმდენი ხმა მოაგროვა, რაც ჯამში დანარჩენმა 59 პარტიამ ვერ შეძლო. აი, ეს არის რეალობა.

**— შექმნილ ფონზე რამდენად რთული იქნება მთავრობის ფორმირება და შენარჩუნება? ცხადი ხდება, რომ ერთპარტიული პარლამენტი გვეყოლება.**

— დიახ, ეს მოცემულობაა — პარლამენტი ერთპარტიული იქნება. ეს არ არის კარგი, მაგრამ თუ გადავხედავთ რა პარტიები შედიოდნენ პარლამენტში, რა თქმა უნდა, მათ იქ ყოფნას ყველაფერი სჯობს. დიახ, ერთპარტიულობაც კი მისაღებია მაშინ როცა ასეთი არაპოპულარული, კრიმინალური და მარგინალური პარტიები იყვნენ ჩამწკრივებული პარლამენტში შესასვლელად. 1%-იანი პარტიებით მთავრობის დაკომპლექტება რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა, ეს კიდევ ცალკე თემაა.

**— ოპოზიცია ხელახალ არჩევნებს ითხოვს. „ქართული ოცნება“ ამ წინადადებას რომც დათანხმდეს რა გამოწვევის წინაშე დავდგებით?**

— ეს იქნება კოლაფსი. ხელახალი არჩევნების ჩატარება არც განიხილება. ეს, უბრალოდ, ოპოზიციის პიარის ნაწილია. თავადაც გრძნობენ, რომ ამ მოთხოვნას აღსრულება არ უწერია. არავითარი ახალი არჩევნები არ ჩატარდება. პარლამენტიც და მთავრობაც შედგება და გვეყოლება ხელისუფლება ოპოზიციის გარეშე.

**— ოპოზიციური პარტიების უმეტესობამ 1%-იანი ბარიერი გადალახა. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი პარტიები კი ქუჩაში დარჩნენ. ეს რამ განაპირობა? კობახიძე აცხადებდა 63% გვაქვსო, რეალურად 48% მიიღეს. სად გაქრა ის 15%?**

— დიახ, ბარიერს გარეთ დარჩა ძალიან ბევრი გაცილებით უფრო კონსტრუქციული პარტია, იგივე, გია ჟორჟოლიანი, მამუკა გიორგაძე და ბევრი სხვა, რომელთაც ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა შეეძლოთ. ეს პარტიები ბარიერს მიღმა დარჩნენ. პრობლემა შემდეგია: რატომღაც, ხელშეწყობა, თანადგომა სწორედ ამ რადიკალურ, კრიმინალურ ჯგუფებს აქვთ, როგორც დასავლეთიდან, ისე ხელისუფლებიდან და არა, რეალურად პოლიტიკურ ძალებს.

**— ოპოზიცია ოქმების ხელახლა გადათვლას არ თანხმდება. რა მიზანი ამოძრავებთ?**

— პირადად, მე, მართლაც მომხრე ვარ ხელახალი გადათვლის, რასაც ოპოზიცია არ თანხმდება. დიახ, ამ პროცედურის მომხრე ვარ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, „ნაცების“ 27% სიმართლეს არ შეესაბამება. ვფიქრობ, მინიმუმ 10% აქ, სათუოა. არსად არ იგრძნობა, რომ მათ ხალხის ამხელა მხარდაჭერა აქვთ — არც მიტინგებზე, არც ხალხის განწყობებში. საიდან მოიტანეს ეს პროცენტი, გაუგებარია. საჯარო გადათვლა, რათა გაირკვეს რამდენი პროცენტი მიიღო რეალურად „ნაცმოძრაობამ“, ძალიან მნიშვნელოვანია.

მათ არჩევნები დესტაბილიზაციისთვის, გადატრიალებისთვის და ხალხის მოტყუებისთვის სჭირდებოდათ, რათა მერე ეყვირათ: ხალხნო, ხმები წაგართვეს, გაგიყალბეს და ქუჩაში გამოდითო. მაგრამ საზოგადოება, უკვე, პოლიტიკურად გაიზარდა. ახლა, 2003 წელი არ გახლავთ, რომ მიშა თავის დაპირებებით მოვიდეს და ხალხმა მას დაუჯეროს. იმიტომ, რომ როცა დაუჯერეს ისეთი იწვნიეს მსგავსი უბედურება წარმოუდგენელია.

**— 27%, დაახლოებით, ნახევარი მილიონი ამომრჩეველია. თქვენ, ამ პროცენტს ეჭვქვეშ აყენებთ, მაგრამ მკვლელების პარტიას საერთოდ რომ აქვს მხარდაჭერა, ეს ერის სირცხვილი არ არის?**

— როცა შიდა მტრის ასეთი შემოტევაა, შენ კი ამდენი მტკიცებულება გაქვს, რომ ისინი არა პოლიტიკოსები, არამედ დესტრუქციული კრიმინალები არიან, ამდენი დანაშაული ჩაიდინეს, თანაც, მტკიცებულებები თუ რას წარმოადგენდნენ თავადვე კასრებით დაგვიტოვეს, შენ კიდევ მათ ხელისუფლებაში ინარჩუნებ, ამას ახსნა არ აქვს. ამ შეცდომას „ქართული ოცნება“ ვერაფრით ჩამოირეცხავს, თუნდაც, სამომავლოდ ისტორიის წინაშე. რა პოლიტიკაა ეს, რომ კრიმინალი „ნაციონალები“ ქართული პოლიტიკის ნაწილი ყოფილიყვნენ. ამის შეფასება, აუცილებლად, მოხდება. ისტორია გამოიკვლევს რატომ და რისთვის მოხდა მათი პოლიტიკაში შენარჩუნება ნაცვლად იმისა, რომ ჩადენილი დანაშაულობებისთვის პასუხი ეგოთ.

**— აღარ დადგა დრო, რომ პოლიტიკური ველი ამ ძალისგან გავწმინდოთ?**

— იცი რა არის, ხალხს ამის უნარი შესწევს, მხოლოდდამხოლოდ, ხელისუფლების არჩევის გზით. სხვა რა შეუძლია? — თვითონ ხომ არ აიღებს ძალაუფლებას ხელში და ოლხოკრატიას ხომ არ დაამყარებს, ქვეყანას კიდევ უფრო უკან ხომ არ დავწევთ. ჩვენ, მანდატს ვაძლევთ პოლიტიკურ ძალას, რათა მან ეს ყველაფერი ქვეყნის სასიკეთოთ მოაგვაროს. „ქართულ ოცნებას“ მესამე ვადით მივეცით მანდატი, მაგრამ სამწუხაროდ, არ იგრძნობა, რომ იგი ამ ნაბიჯს გადადგამს და პოლიტიკურ ველს „ნაცმოძრაობის-

6 გვ.









# მიხეილ „შეწირული“

„თქვენ შეგიქმნეს იმიჯი, რომ მე გიჟი ვიყავი. არასდროს ვყოფილვარ არც გიჟი და არც გაუწონასწორებელი. კი, ახალგაზრდა ვიყავი, უფრო ფიცხი ვიყავი შეიძლება და შევიცვალე ბევრ რაღაცაში, მაგრამ ის, რომ ახლა დალვინდა, კი, დავლვინდი უფრო მეტად, მაგრამ ამას პლუსებიც აქვს და მინუსებიც. ბევრი გამოცდილება მივიღე ჩვენი შეცდომებით და ბევრი გავიაზრე, მაგრამ საქართველო ძალიან მძიმე დღეშია. ახლა შეიძლება გიჟი სჭირდებოდეს ამ ჭაობიდან ქვეყნის ამოთრევას და არა უბრალოდ, მომჯდარი, სოლიდური, რისკებს რომ არ იღებს ისეთი ადამიანი. ამიტომ, ვთქვი, რომ არ მინდა არაფერი პრემიერ-მინისტრობა, გავუშვათ წინ ახალგაზრდები.”ეს სიტყვები „მიხეილ დიდს“ ეკუთვნის. საქართველოში კიდევ ბევრი რამ დარჩა დასაქცევი და ყველა ხერხით ცდილობს თავის მცირე-



რიცხოვანი მრევლი დააბოლოს და თავი გველეშაპთან მებრძოლ რაინდად მოაჩვენოს. „მე შემიძლია, ჩამოვიდე და თავი შევწირო, მაგრამ თქვენთვის შედეგი იქნება, ერთი პრეზიდენტი მოვკალით უკვე, ზვიად გამსახურდია, რა გინდათ, კი ბატონო, ჩამოვალ, შევწირავ თავს“.

„ნაცტროლები“ სოციალურ ქსელში მიშა გადამრჩენელს ელოდებიან და გაჟუჟვით ემუქრებიან მის მოწინააღმდეგეებს. კორონა დისტრიბუტორები მართალია მცირერიცხოვანს, მაგრამ პანდემიის „ასაფეთქებლად“ საკმარისი რაოდენობის მიტინგებს მართავენ. მრევლი კი ისეთი ყავთ, იფიქრებ სად დაიბადნენ, სად გაიზარდნენ, ვისი ძუძუ უწოვიათ... „ნაცების“ უტიფრობით დაღლილი სოციალური ქსელის მომხმარებლები აღშფოთებას არ მალავენ და ფაქტებით ახსენებენ წარსულს. აი რას წერს ერთ-ერთი მომხმარებელი სააკაშვილის და მისი ხროვის „დამსახურებების“ შესახებ – „2005-ში ჰუჯაბის კომპლექსი გადასცა სომხეთს, 2006-ში წითელი ხიდი აზერბაიჯანს. 2008-ში კოდორი და ახალგორი რუსებს. 2009. გარეჯის ნაწილი აზერბაიჯანს. 2012-ში უკანონოდ ერთ დღეში 28000 თურქს მისცა მოქალაქეობა, შედეგად 31 ოქტომბერს შემოხაზეს 5 ნომერი. მანამდე თურქული ბაღი-სკოლა – ინსტიტუტებით გაავსო ქვეყანა. სააკაშვილის დამსახურებაა, რომ აჭარაში თურქები ისე ხსნიან სკოლებს, სასტუმროებს, რესტორნებს არც გვეკითხებიან. ებრძოდა ეკლესიას, პატრიარქს, დასცინოდნენ წმინდანებს, არის ამის ვიდეო. დაპატიმრებული ჰყავდა უდანაშაულო მღვდლები. ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან გაყარა პროფესიონალი პროფესორები, გააუქმა კვლევითი ინსტიტუტები, აკადემიას შეუწყვიტა დაფინანსება. დააწესა ადამიანების ასაკობრივი დისკრიმინაცია. 7 ნოემბერს და 26 მაისს სასტიკად დაარბია და გაუსწორდა მომიტინგეებს. ეს იყო უმძიმესი სანახავი, ქართველი კაცები დაბორკილები მიწაზე ეყარნენ და ხელკეტებს ურტყამდნენ. სტრასბურგში 118 საჩივრიდან, 98 წააგეს და სტრასბურგმა დამნაშავე რეჟიმად ცნო.



32000 პატიმარი და 300000 პრობაციონერი ჰყავდათ. პატიმრებს წამებით კლავდნენ. მოკლული ჰყავთ 745 პატიმარი. ქუჩაში დახვრეტილი 150 ახალგაზრდა. მის დროს სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი 1% კი არ გამოჰქონდათ. მოკლეს გურამ შარაძე, ადმირალი ირემაძე, გენერალი კეკუა, პატარკაციშვილი, ჟვანია, თეთრაძე, შავაძე, კრიალაშვილი, დუმბაძე, თელია, ცინდელიანი და სხვ. დააინვალიდეს ასეულობით პატიმარი, კობა დავითაშვილი, რეზინის ტყვია თავში მოახვედრეს გია მაისაშვილს, ის დაავადდა სიმსივნით და გარდაიცვალა. 20000 წამების ფაილი ნახეს სამეგრელოს კასრებში. პარლამენტი გადაიტანა ქუთაისში, რათა თბილისი კვლავ სომხებს ჩაეგდო ხელში. ქუთაისში ააფეთქა საუკეთესო ძეგლი, დიდების მემორიალი, რასაც დედა და 9 წლის გოგონა შეეწირა. ამოწყვიტა აფრასიძეების ოჯახი. დააწესა სასჯელის შეკრებითობა, ადამიანებს უსჯიდნენ 20-25, 30-35 წელს, ფაქტიურად სიკვდილს. დღეს ეს გაუქმებულია. არის ფსიქიურად აშლილი, ამაზე წერს ცნობილი პოლიტიკოსები და ცნობილი ფსიქიატრები. ამის დასტურია მისი არეული, ისტერიული, ბლუყუნით მეტყველება. წაართვეს ბიზნესი და ქონება ასეულობით ადამიანს. საზღვარი გაუხსნეს აფრო- აზიას და ცვლიდნენ დემოგრაფიას, გაანადგურეს განათლების და კულტურის სისტემები. ამოიღეს სამშობლოს ღალატზე და ცილისწამებაზე მუხლი. (ამათ არ აღადგინეს) მაშინდელი ოპოზიცია ისე ჰყავს დაშანტაჟებული დღეს მონასავით თავის მწამებელს უდგას გვერდში. დღენახევარში წააგო ომი, გორში ისე გარბოდა სამარცხვინოდ, დაცვა ვერ ეწეოდა. ომის დროს მისი ჩინოვნიკები წითელ ხიდზე ასწრებდნენ ერთმანეთს. მსოფლიოს არ ახსოვს მსგავსი ფაქტი, ორჯერ პრეზიდენტად არჩეულმა უარი თქვა საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე. რუსი ოკუპანტის ძახილით, მთელი ეკონომიკა გადასცა რუსებს. გრიგოლ ვაშაძე, ნაყოფია, ხოშტარია, ბენდუქიძე, რუსეთის მოქალაქეები ჰყავდა მინისტრებად. გაეროში 1633 პუნქტზე ხელი მოაწერა, ომი ჩვენ დავიწყეთო, კასეტური ბომბები ვისროლეთო. უარი თქვა, ოკუპირებული რეგიონების საკითხი ეუთოს და გაეროს გადაეწყვიტა, (ამას სარკოზი წერს) ამით რუსებს პირდაპირ აღიარებისკენ უბიძგა. ქვეყანას დაუმალა, კაპიტულაციის აქტზე, რას მოაწერა ხელი. – სოხუმი არასოდეს იყო ჩვენიო. – ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეშიო. 150 მის მიერ დაკარგულ სოფელზე, – რაღაც ქვა-ღორღი იყოო, ამის მომქმედ და მთქმელს მოსახლ. 27% უჭერს მხარს და აგრესიულად თხოულობს მის დაბრუნებას. დანარჩენი რატომ ვუყურებთ სეირს?“ ჩამონათვალში, ნაცრეჟიმის მიერ ჩადენილი ბევრი დანაშაული გამოტოვებულია, მაგრამ ესეც საკმარისია მათ დასახასიათებლად. თუმცა უტიფრები, მაქსიმალურად ცდილობენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები და მოწინააღმდეგეები წყობიდან გამოიყვანონ, უბედურება მოხდეს და არეულო-



ბა, სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყოს. აი, რას წერს სოციალური ქსელის მომხმარებელი „დაჩაგრული“ ნაცმომიტინგეების შესახებ-„უუხ ოცნება რაა, რატო ექცევი ოპონენტებს ესე სასტიკად, ხან შეშის სროლას უკრძალავ პოლიციელზე, ხან ლოდის სროლას, ხან 10 საათი აკავებ თბილ საკნებში საიდანაც პოსტებსაც კი წერენ, ხო შეგიძლია არა ნაცებივით, დემოკრატიულად და ადამიანურად მოექცე, ან წაიყვანო ტყეში სპეციალურად აშენებულ საწამებელში, სკოჩით დააბა და კამერების წინ კასტილიანს მო@@@@@@ნო, ან გლდანის ციხეში ჯოჯოხეთი მოუწყო, ერთი 3–4 დღე მოკლულზე დააბა მორგში, მშობლები სამსახურიდან გაუყარო, ბიზნესი აახიო ან დაუწვა, ან სპეცრაზმს გაატაცებიო და ძვლებში დაალეწიო, ან სულაც რომელიმე ოცნების ძალოვანის ცოლის ხუშტურზე, აიყვანო სადმე ტაბახმელისკენ და წამებაში მოკლა, ან სულაც პირდაპირ ქუშაში რო დახვრიტო და ყაჩაღად გამოაცხადონ, თან ნაცების დროს წამებაში დახოცილ ხალხს, დღევანდელი ნაც სადისტ ნაბოზრების მომხრეების მეათასედიც კი არ დაუშავებიათ, მეტიც, ყველა ჩვეულებრივი წესიერი და კარგი მოქალაქის ცხოვრებით ცხოვრობდა! ეხლა ვუყურებდი ტელევიზორს და ვიღაც ნაცების ტრაკის მიმცემი ტიროდა ოცნების „სისასტიკეზე“: პოლიციელებმა ხელი მკრაო! შენი დდშც შე მიშას განდონო, როგორი ახია შენზე ნაცების დროინდელი წამების მენიუდან ერთი ორი ულუფა! ხოო კიდე გუშინ ნიტო ტც პირველი თუ რომელიღაც ნაც ყვერი ტვს ეთერში მოვისმინე, თურმე ნაცების დროს ყველაზე, გესმით ყველაზე აპოლიტიკური პოლიცია ყოფილა, ეტყობა მიშას რააა და დედის ტყ@@ნააას რო არ ყვირიან, იმიტომ გვყავს პოლიტიკური პოლიცია ხოო, ხოო? ფერებს მიაწექით და ემბლემებს, აბა სხვა მე თქვენს და იმ ყვერ დორბლიანს შორის აზროვნებაში და ნამუსში ვერ განსხვავებთ, ისევე როგორც უმეტესობა!“ საზოგადოების დიდი ნაწილი, სამართლიანად აპროტესტებს ნაცლიდერების დაუსჯელობას, თუმცა ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები.

საერთაშორისო პარტნიორები და მეგობრები სისტემატურად ახსენებდნენ საქართველოს ხელისუფლებას მიუკერძოებელი გამოძიების წარმართვის აუცილებლობას და მთელი ძალისხმევის სახელმწიფოს მომავლის განვითარებისაკენ მიმართვის საჭიროებას. 2012 წლის ნოემბერში, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ, ფილიპ გორდონმა, შეახსენა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს იმ შთაბეჭდილების თავიდან არიდების საჭიროება,

6 გვ. →



# როგორც 2020 წლის არჩევნები ჩატარდა, ასე სამართლიანად და გაუყალბებლად საქართველოში დიდი ხანია არჩევნები არ ჩატარებულა

4 გვ.

გან“ გაწმენდს. იმიტომ, რომ ასეთი ოპოზიციის ფონზე ხელისუფლებაში ყოფნა კომფორტულია. „ქართული ოცნება“ მომგებიან სიტუაციაშია — მას ყოველთვის შეუძლია „ნაცმოძრაობას“ 9წლიანი რეჟიმი შეახსენოს. თუ იგი ქუჩებში ხალხის ჩახოცვას არ დაიწყებს და ციხეებში პატიმრებს გასაუპატიურებლად არ მიადგება, განა, რა უნდა დააშავოს „ქართულმა ოცნებამ“ რომ ხალხს „ნაცების“ 9წლიანი რეჟიმის დაბრუნება მოუნდეს.

**— სააკაშვილი ხალხს საყოველთაო დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებს...**

— იგი, უკვე, გამარგინალებულია. აშკარაა, რომ სააკაშვილს დასავლეთში მხარდამჭერებად თავისნაირი კრიმინალები ჰყავს, რომლებიც მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. ასე იქნება მანამ, სანამ სააკაშვილი და მისი ეს დესტრუქცია საერთაშორისო პოლიტიკაში გამოყენებადია. როცა მიშა თავის როლს ამოწურავს, ისე მოიშორებენ როგორც არაერთი მოუშორებიათ.

**— არჩევნები, სინამდვილეში, მეტწილად, საზოგადოების გამოცდაა. რა აჩვენა ამ არჩევნებმა, რა საზოგადოება გვყავს?**

— ერთი მხრივ, დავინახეთ, რომ 59 პარტიის ჯამურმა მხარდაჭერამ ვერ გადაწონა ერთი პარტიის — „ქართული ოცნების“ მხარდაჭერას. იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობის“ გვერდით მდგომ პარტიებს, ქართული საზოგადოება მხარს არ უჭერს. სხვათა შორის, ოპოზიცია ერთიანი რომ არ ყოფილიყო და ყველა პარტია ერთ ქვაბში არ მოხარშულიყო, შეიძლება პროცენტები სულ სხვაგვარად გადანაწილებულიყო. მაგრამ „ნაცებმა“ მოახერხეს ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა და ამიტომაც, ქართველმა ხალხმა მათ მხარდაჭერა არ გამოუცხადა.

ამ პოლიტიკოსებს მგონი თავმოყვარეობაზეც ხელი აქვთ აღებული. ამდენი წელი პოლიტიკაში არიან, ბარიერს ვერ ლახავენ, კიდევ გამოდიან და იქადნებიან: თქვენს გამო არ შევდივართ პარლამენტში. ვისი სახელით ლაპარაკობს ნინო ბურჯანაძე პარლამენტში არ შევდივართო, ან თუნდაც, ეკა ბესელია?! ვისი სახელით არ შედიან, ქართველმა ხალხმა მათ არ მისცა შესვლის მანდატი და სად უნდა შევიდნენ?! მაშინ ყველა ქუჩაში მოხეტიალე შევა პარლამენტში და ეგ იქნება. არ შედიან კი არა, ვერ შედიან, ეს არის მოცემულობა. არ შეუშვა ისინი ქართველმა ხალხმა, არ მისცა მანდატი. ამ პოლიტიკოსებისთვის ქვეყანა, მისი ინტერესები არაფერს წარმოადგენს. ზედაპირზე ტივტივებენ და ფიქრობენ: ნიავი საიდან დაუბერავს და სად აღმოჩნდებიან. ეს არის დღეს, სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკა, რაზეც შეგუება გვიწევს. სხვა გზა არ გაგვაჩნია, რათა ასეთ ვაი პოლიტიკოსებს სხვაგვარად ვუპასუხოთ და თავიანთი ადგილი მივუჩინოთ.

**— პომპეოს ვიზიტზე რას იტყვით? ოპოზიციას სურს აჩვენოს, თითქოს, ხალხი გაყალბებულ არჩევნებს აპროტესტებს.**

— პომპეო ძალიან კონკრეტული მიზნით და მისიით ჩამოდის. იგი, საერთოდ არ აპირებს ოპოზიციასთან შეხვედრას, არც აინტერესებს. რა დროს არჩევნები და ოპოზიციის მადის დაკმაყოფილებაა, როცა რუსეთმა ამერიკას ისეთი სპეცოპერაცია ჩაუტარა, რომ კავკასიასთან მიმართებაში საერთოდ გვერდზე გაწია. კავკასიას უზარმაზარი როლი აქვს მსოფლიო პოლიტიკაში და უეცრად აღმოჩნდა, რომ აქ, ყველგან რუსის ჯარი დგას. ამ ვითარებაში ვის აინტერესებს პარტიები, რომელთაც არანაირი რეიტინგი არ გააჩნიათ. პომპეოს ეს არ ადარდებს. ცალსახად, ის, რომ ოპოზიციას არ ხვდება და მათთვის დროს არ ხარჯავს ნიშნავს, რომ აშშ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგას. ეს, ასეც არის. ახლა, ალბათ, ხვდებიან, რომ ჩვენი ნატოში გაწევრიანება თავის დროზე უნდა მომხდარიყო. დღეს, აქ, ბაზების გახსნა, ფაქტობრივად, სახიფათო იქნება ქართული სახელმწიფოსთვის მაშინ, როცა რუსის ჯარი უკვე დგას საქართველოში — ცხინვალსა და აფხაზეთში. ამერიკული ბაზის გახსნა პირდაპირ იმას ნიშნავს, რომ საზარბაზნე ხორცად უნდა იქცე, რაც ძალიან საშიშია. გაუგებარია, რა უნდა გააკეთოს პომპეომ იმის სანაცვლოდ, რაც რუსეთმა ჩაუტარა — ფაქტობრივად, კავკასია ფუკასავით ააცალა. აქ, სერიოზული პოლიტიკური პროცესია და პომპეო, ალბათ, ამაზე სასაუბროთ ჩამოდის და არა იმის გასარკვევად რა უნდა ბოკერიას, უგულავას და მელიას. მას ეს სრულებით არ აღელვებს, არამედ მისი საზრუნავია ის რეალობა, რაშიც ამერიკელები რუსული პოლიტიკის შედეგად აღმოჩდნენ. ჩვენთვისაც ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ოპოზიციური პარტიები. იმიტომ, რომ შეცდომის დაშვება ქართული სახელმწიფოსთვის, შეიძლება, კატასტროფის ტოლფასი იყოს. ჩვენ ბეწვის ხიდზე უნდა გავიაროთ. ერთი მხრივ, არის სტრატეგიული პარტნიორი ამერიკა, რომლის იგნორირება არ შეიძლება, მისი ინტერესების გათვალისწინება უნდა მოხდეს და მეორე მხრივ, საყურადღებოა ის, რომ კავკასიაში დგას რუსეთის ჯარი. როგორ უნდა იმოქმედოს ამერიკამ, იგივე, საქართველომ რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესები ამას არ გადაყვეს, აი რა არის მნიშვნელოვანი. ძალიან სენსიტიური, საფრთხილო თემებია. დღეს ამაზე უნდა მიდიოდეს ტელევიზიებში მსჯელობა, დისკუსიები და საზოგადოების მხრიდან ხელისუფლებისთვის წინადადებების შეთავაზება. პომპეო იქნება, ტრამპი თუ სხვა, მათთან საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი ქვეყნის, ქართველი ხალხის ინტერესები. დღეს ეს უნდა გვაღელვებდეს და არა ის, ეს ციგნები თუ კრიმინალები რა სპექტაკლებს დგამენ შუაგულ რუსთაველზე. ამაზე, საუბარი საერთოდ არ მიდის. გამაოგნებელია, რომ ჟურნალისტებს საერთოდ არ აინტერესებთ მსოფლიო პოლიტიკა, არამედ თავიანთი მფლობელების კონკრეტულ პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებიან და არა ქვეყნისას. პომპეოს ვიზიტსაც კი არ აშუქებენ წესიერად, რათა გავიგოთ სინამდვილეში რა მიზნით ჩამოვიდა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# მიხეილ „შეწირული“

5 გვ.

რომ მიმდინარე გამოძიება შერჩევითად და უსამართლოდ იყო მიმართული ივანიშვილის პოლიტიკური მეტოქეების წინააღმდეგ. გარდა ამისა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა განცხადება, სადაც შეშფოთება გამოთქვა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, დაკითხვაზე დაიბარონ ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი. მათი შეფასებით, ერთდროულად რამდენიმე გამოძიების წამოწყება, რომელშიც ჩართულია ყოფილი პრეზიდენტი, იწვევს ლეგიტიმურ შეშფოთებას პოლიტიკური ანგარიშსწორების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამართლებრივი და მართლმსაჯულების ორგანოები კვლავ მოწყვლადია. იგივე მიდგომა გაიზიარა ევროპული კომისიის პრეზიდენტმა, ხოსე მანუელ ბაროზომ და NATO-ს გენერალურმა მდივანმა, ანდრეს ფოგ რასმუსენმა. დასავლეთის შეშფოთების მიუხედავად, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დააკავა „ერთიანი ნაციონალური



მოძრაობის“ გენერალური მდივანი ივანე მერაბიშვილი, იმავე პარტიის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი და პოლიტიკური საბჭოს წევრი გიორგი უგულავა და ამავდროულად, დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ესტონეთის პრეზიდენტის 2014 წლის მარტის განცხადების თანახმად, თუ საქართველო გააგრძელებს ყოფილი თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივ დევნას, ამ პროცესმა შეიძლება შეაჩეროს ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა.ამდენად, შიდა პოლიტიკური და სამართლებრივი ნაბიჯები საფრთხეს უქმნის ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსსაც, რისი დასტურიცაა ევროპის პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 დეკემბერს მიღებული რეზოლუცია საქართველოს შესახებ. რეზოლუციაში გამოითქვა შეშფოთება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ საბრძოლველად მართლმსაჯულების სისტემის გამოყენების შესაძლებლობის გამო, რამაც შეიძლება დააკნინოს საქართველოს ევროპული კურსი და მისი ხელისუფლების მცდელობები, განახორციელოს დემოკრატიული რეფორმები. საქართველოს ხელისუფლებას ევროპული პარლამენტი ახსენებს, რომ ღირებული პოლიტიკური ოპოზიციის არსებობა უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოში ბალანსირებული და სრულყოფილი პოლიტიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად, რისკენაც საქართველო ისწრაფვის. გარდა ამისა, ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარემ გიორგი უგულავას საქმე შეაფასა, როგორც პოლიტიკურად მოტივირებული შერჩევითი სამართლის კონკეტული მაგალითი. ევროპული საბჭო საპარლამენტო ასამბლეის 2015 წლის რეზოლუციაში აღნიშნავს, რომ „ასამბლეა ყურადღებას ამახვილებს იმ ბრალდებების ძალიან დიდ რაოდენობას, რომლებიც ეხება ყოფილი მთავრობის თანამდებობის პირების მიერ მათი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში სისხლისსამართლებრივი ქმედების შესაძლო ჩადენას. ამავე დროს, იგი სერიოზულად შეშფოთებულია ბრალდებებით იმის შესახებ, რომ ყოფილი მთავრობის მთელი რიგი თანამდებობის პირის დაკავებები და სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიტიკურად მოტივირებულია და წარმოადგენს შერჩევით და რევანშისტულ სამართალს.“ 2015 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით გიორგი უგულავა ხუთ სისხლის სამართლის საქმეზე შვიდი „დანაშაულებრივი“ ეპიზოდისთვის არის ბრალდებულის სახით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული.

სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, ნაცლიდერებს სახელმწი-



ფოს თუ კერძო პირების ძარცვა ხახვივით შერჩათ და დღეს სწორედ იმ სოლიდური თანხით აწყობენ მიტინგებს თუ დემონსტრაციებს. აფინანსებენ მათ მიერ მართულ მედიას და ყველა უკანონო გზით ცდილობენ სახელმწიფოს სადავეების ხელში ჩაგდებას. რაც შეეხება საერთაშორისო პარტნიორებს და უცხოელ „მეგობრებს“, რატომ არ ინტერესდებოდნენ 2012 წლამდე რა ხდებოდა, რატომ კლავდნენ ახალგაზრდებს, რატომ აპატიმრებდნენ უდანაშაულო ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით, რატომ ძარცვავდნენ და ატერორებდნენ მოსახლეობას.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30





# ორი გრიგოლი, ორივე ვაშაძე, ორივე ჩათლახი

არ დაიჯერებთ, ამ ქვეყანაში ორი გრიგოლ ვაშაძე ყოფილა. დიახ, ორი ცალი – ერთი ხულიგანი, ქუჩის ბიჭი, რომელიც სპეცრაზმელებს თავში ურტყამს, ჟურნალისტებს აგინებს, აღმა-დაღმა ოფლიანი და თმააწეწილი დარბის, ტრიბუნიდან ხელისუფლებას ემუქრება, გაგხევთ შუაზეო, საარჩევნო შეხვედრებზე ადამიანებს ჭკუაზე არიგებს, თქვენი მეზობელ-ნათესავები ყურით მოათრიეთ უბნებზეო, ხოლო მეორე – დიპლომატი, დახვეწილი, აწონილ-დაწონილი სიტყვა-პასუხით, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ქვეყანაზე მოფიქრალი, შორსმჭვრეტელი და ბალეტმაისტერი.

აჰა, გამოვიდა ხულიგანი ღრიღოლი (გრიშა) და თქვა, მე ის კაცი აღარ ვარ, ქვეყანას რომ ვურევდი და პოლიციელებს თავში რომ ვურტყამდი, აღარც ნაკერავზე გაგხევთო, აღარ გერჩითო, ყველანი ამ ქვეყნის შვილები ვართ, **Ребята, давайте жить дружно**-ვო:




"საქართველო ძალზედ სახიფათო მდგომარეობაში იმყოფება – სახეზეა ოთხი უმძიმესი გამოწვევა – ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და დემოგრაფიული. ამას ემატება კორონავირუსის კონტროლიდან გასული მსოფლიო ეპიდემია. ამავე დროს, უკიდურესად გამწვავებულია სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია ჩვენს რეგიონში. საქართველოში კი ეროვნული კონსოლიდაციის ნაცვლად საქმე გვაქვს პოლიტიკური პროცესის უკიდურეს გამწვავებასთან, რომელსაც შიშის მომგვრელი სისწრაფით მივყავართ სამოქალაქო დაპირისპირებისა და ქაოსისკენ. თუ საქართველოს პოლიტიკური სპექტრი არ გააცნობიერებს არსებული საფრთხეების სიღრმეს, იმას, თუ საით მიექანება ჩვენი სახელმწიფო, არ გაითვალისწინებს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობის დაკვეთას, არ მიაქცევს ყურადღებას არასამთავრობო სექტორის რჩევებს, და იმას თუ რას გვთავაზობენ ჩვენი მოკავშირეები თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობის მეშვეობით, ანუ აუცილებელი ცვლილებების უზრუნველყოფას დემოკრატიული პროცესის მშვიდობიანი განვითარების გზით, ჩვენ დავკარგავთ სახელმწიფოს სტაბილური და უსაფრთხო განვითარების გზაზე გაყვანის შანსს. მივმართავ ყველა პოლიტიკურ პარტიას: სასწრაფოდ გადავიტანოთ პროცესი მოლაპარაკების მაგიდასთან, ჩავანაცვლოთ ქუჩა ყველა დონის საკანონმდებლო ორგანოების ტრიბუნით და ყველა ძალას მოვუხმოთ სახელმწიფოს ღრმა კრიზისიდან გამოსაყვანად".

მართალია, "გაკეთილშობილებული" გრიგოლი ცოტა ამუქებს, როცა ქაოსს, დაღუპვას და კატასტროფას გვიწინასწარმეტყველებს (თუ ეგენი არ შევლენ პარლამენტში), მაგრამ მის სიტყვებში, როგორც "ექსპერტები" იძახიან, არის რაღაც სახელმწიფოებრივი. მისმა განცხადებამ ბნედა დასცა სრულიად "სანაცეთს" – დაუმორჩილებელი ნიკანორ მელია განგვიმარტავს, ძალიან სამწუხაროა, ადამიანურად გული დაგვწყვიტა ბატონმა გრიგოლმაო, თაკო ჩარკვიანი ამტკიცებს, გრიგოლს ჩიხიდან გამოსავლის ფიქრის გამო დაემართა მაი ამბავიო. ხატია დეკანოიძემ (სააკაშვილის ყოფილმა რძალმა), ეს განცხადება არ ყოფილა პარტიის პოლიტსაბჭოსთან შეთანხმებულიო, ეს მისი პირადი აზრიაო. გრიგოლ ვაშაძის მიმართ ძალზედ მკაცრი და დაუნდობელი აღმოჩნდა "პოლიტიკოსი" ნანუკა ჟორჟოლიანი:

„ანუ, ბიძინას შედეგები სწორია? თუ არსებობენ ადამიანები, რომელთა მოტივაციაც მხოლოდ თბილი სავარძელია?! თურმე არიან! თუ ეს განცხადება მართალი აღმოჩნდება და ეს ადამიანი პარტიის თავმჯდომარედ დარჩება, მიმიფურთხებია ამ პარტიისთვის"!

სანამ იმას მოგახსენებდეთ, რა დაემართა შემდეგ გრიგოლს, გაგაცნობთ მისი განცხადების მეორე ნაწილს, რომელიც შეიძლება ასე დავასათაუროთ: "თუმცა". ესე იგიო, განაგრძობს ვაშაძე, კი უნდა დავილაპარაკოთ და პარლამენტშიც შევიდეთ, მაგრამ სტრატეგიულ პარტნიორებთან ერთად ბოლომდე უნდა მივიყვანოთ სადაო უბნების გადათვლისა და საჩივრების განხილვის პროცესი, რაც მოგვცემს საშუალებას, პარლამენტში მოვიპოვოთ უმრავლესობაო. კი, არ გეჩვენებათ, ნამდვილად ასე თქვა, შევალთ პარლამენტში, ბიულეტენებს ხელახლა გადავითვლით და ეგრევე უმრავლესობაში აღმოვჩნდებითო. რა გითხრათ, რით გაგახაროთ? ეს კაცი ნამდვილი ქამელეონია, რომელიც ფერს იცვლის წელიწადში ოთხჯერ და მოქმედებს სიტუაციის მიხედვით... თქვენ გგონიათ, არ იცის, რომ ბიულეტენების გადათვლის შემდეგ არაფერი მოემატება და ვერც კომისია დაადგენს ახალს ვერაფერს? იცის, მაგრამ პარლამენტში მოჯდომა უნდა, გადაითხლიშება სავარძელში და ისევ დაიწყებს, გაგხევთ ნაკერავზეო.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ამხანაგი გრიგოლი ყველა ვარიანტში ითხოვს ცესკოს თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას გადადგომას. ჯერ არ ამხელს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაგ ადგილზე ხათუნა გოგორიშვილის დანიშვნა უნდა.

ამ "სახელმწიფოებრივი" განცხადების გამოქვეყნებისთანავე გრიგოლ ვაშაძე ჩაჯვი გვარამიამ თავის უბორნიაში დაიბარა, ყური აუწია, დატუქსა, ტექსტი ჩაუსწორა, თავის "ფეისბუქგვერდზე" დადო და უბრძანა, აქედან დააკოპირეო, ანუ შენად გაასაღეო. იმანაც თავი ჩაჰქინდრა, აწითლებულ კისერზე ოფლი მოიწმინდა, დააკოპირა და თავისად გაასაღა (სტილი დაცულია):

"დამატებით განვმარტავ. მოქალაქეთა პროტესტი უნდა გაგრძელდეს; ამ პროტესტს სასწრაფოდ უნდა დაემატოს პოლიტიკური კომპონენტი – სამართლიანი არჩევნების პრინციპების განხორციელების თაობაზე მოლაპარაკებების სახით სტრატეგიული მოკავშირეების მედიაციით; სანამ/თუ მოლაპარაკებები წარმატებით არ დასრულდება არც მეორე ტურში მონაწილეობას არ ვღებულობთ და არც პარლამენტში არ შევდივართ; ერთხელ და სამუდამოდ ყველა უნდა დავიძაბოთ, რომ მომავალში ქუჩის პროტესტმა ნორმალური პროცესი არ ჩაანაცვლოს არჩევნების გაყალბების გამო".

ეს რომ ჩაჯვი გვარამიას დაწერილია, სტილზეც ეტყობა, გრამატიკაზეც და სიტყვათა წყობაზეც – ასე მხოლოდ კაიფში მყოფი ადამიანი თუ დაწერდა: "ამ პროტესტს სასწრაფოდ უნდა დაემატოს პოლიტიკური კომპონენტი – სამართლიანი არჩევნების პრინციპების განხორციელების თაობაზე მოლაპარაკებების სახით სტრატეგიული მოკავშირეების მედიაციით".

გაიგეთ რამე? ვერ გაიგებთ, კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ეს ტექსტი დაწერილია კაიფში მყოფი დებილის მიერ, რომელმაც თავის მართლებაც კი დაიწყო:

"სახელისუფლებო მედიები ავრცელებენ სამარცხვინო ტყუილს, თითქოს ვაშაძის სახელით განცხადება მე გავაკეთე. მე რომ დამეწერა ეს განცხადება, ნამდვილად სხვაგვარად დავწერდი, მერწმუნეთ. თუ გგონიათ, რომ ჩემს პოზიციას სრულად ეთანხმება ეს ტექსტი, შემცდარხართ".

მეტიც, გვარამია აქეთ გვიტევს, თქვენ კითხვა არ იცით, ვაშაძემ სულ სხვანაირად დაწერა, პროტესტი უნდა გაგრძელდეს, მეორე ტურში მონაწილეობას არ ვღებულობთ და არც პარლამენტში შევდივართო. აი, ამას ამბობს ვაშაძე, რით ვერ გაიგეთ, თქვე უწიგნურებოო?

კი უწერა და არიგა ჭკუაზე გვარამიამ ერთი გრიგოლი, მაგრამ მეორეს მაინც არ მისცა მოსვენება ტვინში შემჯდარმა მატლმა და პარლამენტში შეთრევის სურვილმა, მეორე თუ მესამე დღეს "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი სახლში "დაიბარა" და მისცა... ინტერვიუ: მოკლედ, საქმე საქმეზე იყო მისული, მოლაპარაკება უნდა დაგვეწყო და ჩაიშალაო. ვინ ჩაშალაო? – შეაპარა ჟურნალისტმა. მაგას ვერ ვიტყვიო, "რაზრეშენია" არ მაქვსო. მოდით, რაკი მე "რაზრეშენია" არ მჭირდება, პირდაპირ გეტყვით – მოლაპარაკების მცდელობა ჩაშალა სააკაშვილის ქოფაკმა ბიძამ, თემურ ალასანიამ, მიხოს პირით.

– მე ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა ამერიკისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან, მათი შუამავლობით მომზადდა დიალოგი ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, რომელიც ჩაშალა "ნაციონალური მოძრაობის" რამდენიმე რადიკალურად განწყობილმა ლიდერმაო, დიალოგის ჩაშლამ პოლიტიკური პროცესი ჩიხში შეიყვანა, ყარაბახში რუსეთის გამარჯვების შემდეგ დიდი საფრთხე ელის საქართველოს სახელმწიფოსო, ასეთ სიტუაციაში ე.წ. რევოლუციური სცენარი დაღუპავს ჩვენს სახელმწიფოსო, 30 წელია საქართველოს პოლიტიკურმა სპექტრმა დიალოგი ვერ ვისწავლეთო, შევიდეთ პარლამენტში და სანაცვლოდ ხელისფლებამ 2021 წლის შემოდგომაზე დანიშნოს ვადამდელი არჩევნები ადგილობრივ არჩევნებთან ერთადო, – დაალაგა სიტუაცია მეორე გრიგოლმა და პირველი გრიგოლისთვის არც კი უკითხავს, ამდენ სისულელეს რომ ვლაპარაკობ, როგორ მოგწონსო? ესე იგი, ამ ულვაშებიანი ბალეტმაისტერის დავთრების თანახმად, "ქართულმა ოცნებამ" უნდა აღიაროს, არჩევნები გავაყალბე, დიდი ბოდიში, მომავალი წლის ოქტომბერში ხელახლა ჩავატარებო. ანუ, რა გამოდის? მერე იტყვიან, პარტიამ, რომელმაც ბიულეტენები გააყალბა, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვსო. ხედავთ, სად მიდის ამათი ვირეშმაკული მოსაზრებები? არადა, ყველაფერი პირიქითაა, საქართველოში არჩევნებს აყალბებს "ნაციონალური მოძრაობა", ეს იქცა მოუშორებელ შავ ჭირად. დიახ, ქეციანი "ნაცები" მიდიან ყველაფერზე – შანტაჟზე, მოსყიდვაზე, დაშინებასა და ათას მაიმუნობაზე, ყოველი მეორე დასაჭერია!

ჩემი ღრმა რწმენით: ბიძინა ივანიშვილს და "ქართული ოცნების" ლიდერებს მეტი საქმე არ აქვთ, ასეთ დუნდუკებს უსმინონ და დაუჯერონ. დუნდუკები ლაპარაკობენ უამრავ სისულელეს და მიიღებენ, რასაც ეძებენ – ვირის პალოს!

ისე, მაინც გახსოვდეთ, მეგობრებო, საქართველოში არსებობს ორი გრიგოლი, ორივე ვაშაძე და ორივე ჩათლახი!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# აქა ამბავი პოლიტიკური „სვავების“ „აღმოჩენებზე“ და ვოლსკის „ვოლსკობაზე“



მაყვალა ბერიანიძე

მე არ ვარღვევ დიპლომატიურ ეთიკას, არ ვუპირისპირდები ჯანსაღ აზრს, მე ვამხელ უმწიფარ, უტიფარ, უწიგნურ ურა-პატრიოტთაგან ზოგიერთ წარმომადგენელს. არ მეშინია „იარლიყების“ მიწებების. საქართველოში, შესაძლოა სხვაგანაც, თაღლითები ადგილობრივ სამოსს, მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმების იარლიყებს აკერებენ ხოლმე და ასე ასაღებენ — „დასავლურია, ბრენდია“ და გამოსაჩენია. „იარლიყიანი“ ე.წ. პოლიტიკოსებიც არ მერევა „ბრენდულში“.

პოლონეთი შემთხვევით არ ამირჩევია. ამ სახელმწიფოს დიპლომატიურმა უწყებამ, 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები სამართლიანად შეაფასა და მადლობა გადაუხადა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას, აღნიშნა მისი დიდი წვლილი არჩევნების წარმატებაში ურთულესი პანდემიის პირობებში.



მეც ვუხდი მადლობას მათ რეალობის დანახვისთვის და სწორედ ამიტომ, ამ სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლიანი ერთი წარმომადგენელი მივმართავ პოლონეთის მესვეურებს — კარგად წაიკითხონ ეს წერილი და მითხრან, ვინც ურევს საქართველოს, ვინც სპორტულ ენაზე, რომ ვთქვა არ იცის როგორ მოიქცეს ღირსეულად გამარჯვებულის წინაშე, არ მოსწონს საქართველოს მოქალაქის ვთქვათ პოლონელობა, აზერბაიჯანელობა, სომხობა, ებრაელობა თუ სხვა რა, რა სახელი შეიძლება ვუწოდოთ? კარგად ვიცნობ ქართული პოლიტიკის შუქ-ჩრდილებს, ვიცი და ვიცნობ თითქმის ყველას ვინც პოლიტიკურ ასპარეზზეა, მაგრამ არ ჩავრთულვარ არჩევნების დროს ღია დისკუსიებში, არ გამომიქვეყნებია ჩემი მოსაზრებები, გნებავთ პროგნოზები, რომლებიც ზედმიწევნით ზუსტად ახდა.

შეცდომა დამიშვია, ვაღიარებ. რატომ? იმიტომ რომ ღია ასპარეზზე გამოვიდნენ ისინი, ვისაც გამოსაჩენი სახე და საქმე არასოდეს ჰქონიათ, მათ სხვაგვარი პასუხები სჭირდებოდათ და სჭირდებათ. არც პრესის ფურცელზე გამომითქვამს ჩემი მოსაზრებები, ზემოქმედებას ავერიდე, მაგრამ გაწყდა მოთმინების ძაფი. საშინელი თავდასხმები განახორციელეს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერზე, გიორგი ვოლსკიზე. იცით რატომ? თურმე ახალგაზრდობაში უმუშავია საქართველოს მეორე პრეზიდენტთან, ედუარდ შევარდნაძესთან, საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრთან, რომელიც იმ პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო. მე კარგად ვიცი რას ნიშნავს რიგითი ინსტრუქტორობა, მაგრამ აქ მთავარი სხვა რამეა. ის თურმე „უცხოა“, „არაქართველია“ და რატომ უნდა მოუგოს ქართველებს, ვთქვათ ანა დოლიძეს, ზურაბ ჯაფარიძეს და სხვებს?

ეს არ არის არამხოლოდ უტიფრობა, არამედ კიდევ უარესი? კიდევ რატომ დაესხნენ თავს? თურმე გიორგი ვოლსკიმ არჩევნებამდე, გააკეთა მათთვის მიუღებელი შეფასება: „ უამრავი პოლიტიკური სვავი, ხეზე შემომჯდარი ელოდება, როდის დაიღვრება სისხლი, რომ დაეწაფოს და როგორმე განავითაროს თავისი პოლიტიკური მიზნები, სტრატეგიული მიმართულების შესაბამისად.“ მას კონკრეტულად არცერთი „სვავი“ არ დაუსახელებია, მაგრამ თვითონ გამოჩნდნენ და შეფასებებიც არაადეკვატური იყო. არ ვთვლი საჭიროდ მათი ნაბოდვარის ტირაჟირებას.

არ ვარ დიდუბის ან ჩუღურეთის ამომრჩეველი, რომ მიკერძოებული ვიყო. მით უფრო ამ ოლქში დასახელებული კანდიდატებისადმი, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. არჩევნებში მონაწილეობა, თუნდაც მეტოქეობა, უღირსობის საფუძველი არ არის, ყველაფერი ისტორიას რჩება.

გიორგი-გია ვოსლკის არაფერი მმართებს, ჩემს სიცოცხლეში ხელიც არ წაუკრავს კარიერის ამა თუ იმ საფეხურზე ასვლისას, რომელიც საკმაოდ მქონდა ჩემი შრომით, წვალებით და სახელმწიფოებრივი აზროვნებით. არც ახლა მჭირდება პირადი კეთილდღეობისათვის და ეს ყველამ იცის.



უბრალოდ მეცინება, სატირალი რომ არ იყოს, კომპარტიის რაიკომის პირველი მდივნების შვილები, როცა უწუნებენ გია ვოლსკის ცეკას ინსტრუქტორობას. ნეტავ ყველაფერი სხვებზე უკეთ არ ვიცოდე და ჩემს დუმილს, ოქროს ფასი არ ქონდეს რთულ ვითარებაში მყოფი ჩემი სამშობლოსათვის. ქალბატონი ნინო ბურჯანაძე უნიჭო არ გახლავთ, მაგრამ გამიკვირდა მისი ქედმაღლური განცხადება — „შენ ის ვოლსკი არა ხარ? თავდახრილი რომ მელაპარაკებოდი... და ა.შ.“ არავის უნახავს გია ვოლსკი ვინმეს წინაშე თავდახრილი და რაღა მაინცდამაინც ნინოსთან მოხდა ეს?

თუმცა, მეშლება... გია ვოლსკი თავდახრილი, გამწარებული, განადგურებული, ბევრმა ნახა 19 წლის შვილის „სასახლესთან“, მერე საფლავთან, მაგრამ ნინო ბურჯანაძესთან? საინტერესოა როდის დახარა თავი, ქალბატონ ნინოს თანამდებობრივ აღზევებამდე, ე.წ. ვარდების რევოლუციამდე, გია ვოლსკი იყო ამერიკაში, გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის უფროს მრჩევლად, საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეროს სამმართველოს უფროსად. მერე გაეროში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილედ. ვარდების რევოლუციის შემდეგ მცირე ხანი აცადეს და დასჭირდათ მისი ადგილი. როდის დახარა თავი? უმუშევარი რომ იყო?

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, დიდუბე-ჩუღურეთში, თუ არ ვცდები 22 პირი იყრიდა კენჭს მაჟორიტარი დეპუტატობისთვის. რა, კატასტროფაა, თუ გია ვოლსკიმ თითქმის 43% მიიღო? მეორე ტურიც იქნება, დიდი ამბავი. ზურაბ ჯაფარიძე „გირჩიც“ ნიჭიერი კაცია, ის თავის ტოლ-სწორად არ თვლიდა ანა დოლიძეს და იქადნებოდა, გია ვოლსკის მინდა მოვუგოო. ანა დოლიძეც ნიჭიერი, აქტიური ქალბატონია, მაგრამ ზურაბ „გირჩმა“ მის „წონაში ჭიდაობაზე“ უარი თქვა. ანა, გია ვოლსკის ებრძოდა და ებრძვის, მისგან საოცარი რამ გავიგე — „ვოლსკიმ ქალები ამადევნა, მითვალთვალებენ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ „დაზარალებულად“ მცნოსო“. ადევნება, თვალთვალი? უცნაურია... ვერ დავიჯერებ... რა არის ისეთი მსოფლიოში, მითუმეტეს საქართველოში დასამალი? ყველაფერი ხელის გულზე დევს.

მკითხველი იკითხავს, რატომ „გამოვესარჩლე“ დიდუბე-ჩუღურეთის მაცხოვრებელს, დეპუტატობის კანდიდატს? აქ „ქართული ოცნება“ არაფერ შუაშია და ვერც იქნება. მე დავრჩი 2012 წლის 01 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ღირსეულ ჯარისკაცად და არ ვემორჩილები იმ დროს ბუჩქებში მყოფთ, „გენერლის მუნდირები“ რომ მოიზომეს. აბა რა ხდება? რა ხდება და როცა აქცენტები კეთდება „ვოლსკობაზე“, ვერ გავჩერდები. როდესაც აქცენტი კეთდება, რომ მას არაფერი ესმის ხალხის გაჭირვების, ვერ გავჩერდები.

მახსენდება... დიდი გაწევ-გამოწევა იყო პარლამენტში, ოპოზიცია უტიფრად ანამუსებდა გია ვოლსკის, შვილმკვდარი მამის განცდები არაფრად მიგაჩნიაო, გული კინაღამ გამიჩერდა. ვუყურებდი გაფითრებულ გია ვოლსკის, თვითონ შვილმკვდარ მამას და ჩემს თავს ვეკითხებოდი, აიტანს? არაფერს იტყვის? არც უთქვამს.

იმ წუთებში მამაჩემის სახე დამიდგა თვალწინ, 19 წელს მიუღწეველი შვილი ყირიმიდან, სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან ჩამოუსვენეს „ცინკის სასახლით“. მამაჩემს არასოდეს გადაუდია თავისი დარდი სხვისთვის, არასოდეს უგრძნობინებია ტკივილი, ის სხვებს უფრთხილდებოდა. რაღაც მსგავსი დავიჭირე გია ვოლსკიში, არადა, სკამებს გადამხტარნი არ ჩერდებოდნენ, უხმოდ გავიდა. დარწმუნებული ვარ სიტყვას ვერ იტყოდა, ყელში ცრემლის და ტკივილის ბურთი ექნებოდა გაჩრილი. ვიცოდი, ვგრძნობდი, გია ვოლსკი ყველაზე დიდი ჭირისუფალი იყო შვილმკვდარი მამებისთვის, მაგრამ ჩაყლაპა დაუმსახურებელი შეფასებები. აი ასეთ გია ვოლსკის ჰქონდა და აქვს ჩემი თანაგრძნობა.

რაც შეეხება მის „ვოლსკობას“... დიდუბელებს და ჩუღურეთელებს მინდა ვუთხრა, თუ დიდი ილია ჭავჭავაძის, წმინდა ილია მართლის გზით, ეროვნული სულით და გულით სურთ სიარული



საქართველოში, უნდა იცოდნენ, რომ ვოლსკის ფესვები ქართულ ნიადაგზეა განტოტვილი, ის „სხვა“ არ არის, არ აჰყვეთ უტიფრებს!

გიორგი-გია ვოლსკის პოლონური წარმომავლობა, დიდ ქართულ საქმეებს უკავშირდება, პოლონელი იყო დიდი მეცნიერის, საქართველოს „მეჭურჭლეთუხუცესის“, ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე ნინა პოლტარაცკაია. მათ საქართველოს განძი საზღვარგარეთ შეინახეს და დაგვიბრუნეს. პოლტარაცკაიას ნაირი ადამიანი ძნელად თუ მოიძებნება ჩვენს სამშობლოში, მათი მზერა მთაწმინდის პანთეონიდან ახლაც მათბობს, ეს ქართულ-პოლონური, თბილი მზერაა.

ქალბატონ ნინა პოლტარაცკაიას ძმას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მთაწმინდის საბაგირო გზა, საქართველოს რომ დაუბრუნდა ბელგიელებისგან, არა მგონია ვცდებოდე, მან გამოისყიდა.

## გრიგოლ ვოლსკის ქართული საქმეები

ერის სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის, დიდი პოეტის აკაკი წერეთლის და ქართველი საზოგადო მოღვაწეების მეგობარი, ქართული საქმის მკეთებელი იყო პოლონური წარმომავლობის გრიგოლ ვოლსკი. ის თბილისში დაიბადა 1859 წლის 24 იანვარს. მამა ტიტულარული მრჩეველი იყო, იოსებ ლეონტის ძე ვოლსკი. იოსების მეუღლე მაგდანა იოსების ასული, კეჟერაძე გახლდათ. გრიგოლის ნათლობაც თბილისში იყო, წმინდა ალექსანდრეს ეკლესიაში 13 თებერვალს. თითქმის 100 წლის შემდეგ დაბადებულ გიაზე (დაიბადა 1957 წლის 18 იანვარს), რა პოლონელობა და ვოლსკობა აუტყდათ იმათ, რომლებიც საკუთარ წარმომავლობას და გვარს მალავენ? გინდათ „ასეთთა კილომეტრიანი სიები“? მიიღებენ, თუ ასე გააგრძელებენ.

ვიცი, გავიგე, რომ ცას კიბე არა აქვს, მაგრამ ადამიანებად რომ დავიბადეთ, უღირსობასაც ხომ აქვს საზღვარი?

გრიგოლ ვოლსკი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, ნოვოროსიისკის (ოდესის) უნივერსიტეტში. მიმართულება იყო ფიზიკა-მათემატიკა და ბუნებისმეტყველება, მაგრამ შეიცვალა, მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. აღარ გავაგრძელებ, მოკლედ ვიტყვი წარმოშობით პოლონელის ქართულ საქმეებზე:

მოსკოვის ქართველ სტუდენტთა სული და გული იყო გრიგოლ ვოლსკი, მან გააჩინა „მდიდარი ბიბლიოთეკა“, კითხულობდნენ ქართულ ლიტერატურას, პოეზიას, ისტორიულ დოკუმენტებს, შექმნეს ურთიერთ-დახმარების სალარო, ეხმარებოდნენ — ქართველ ხელმოკლე სტუდენტებს. გრიგოლ ვოლსკი ექიმი-მკურნალი იყო ქუთაისში, თბილისში დაბრუნების შემდეგ დიდი პატივით მიიღეს საზოგადოებაში, რომლის წევრები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი და გიორგი წერეთლები, თედო სახოკია, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვები. ილია ჭავჭავაძის დიდი თხოვნით, გრიგოლ ვოლსკი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრი, აჭარაში გაიგზავნა ექიმად. მაგრამ უფრო ზუსტად, ქართული ცნობიერების გამოსაცოცხლებლად. ეს 1888 წელი იყო, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინ აჭარა თითქმის 300 წლის ტყვეობის შემდეგ, 10 წლის დაბრუნებული იყო დედა-სამშობლო, საქართველოსთან. დიდი იყო ოსმალური წნეხი, უძნელესი — ქართული საქმის კეთება. 1881 წელს, ბათუმში პირველი ქართული სკოლა გაიხსნა, მაგრამ არ ჰქონდათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არ იყო სახსრები. გრიგოლ ვოლსკიმ მოიფიქრა ლატარია-ალლეგროს ჩატარება, მოაგროვა სახსრები და იმდენად პატიოსანი იყო, რომ გაზეთს გაუგზავნა ანგარიში, რა შემოვიდა, რა გზით და როგორ გაიხარჯა. შემოსული თანხით მან სკოლას, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები შეუძინა.

გრიგოლ ვოლსკი ბათუმში ცხოვრობდა, წმინდა მარინე N52-ში. 2005 წლისთვის, მემედ აბაშიძის გამზირი იყო. აქ ხშირად ათევდა






ღამეს ილია ჭავჭავაძე, სახლთან მემორიალური დაფაა: „ამ სახლში, რომელიც ეკუთვნოდა საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ვოლსკის, ბათუმში ჩამოსვლისას ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე“. ერთ სართულიანი იყო სახლი, სადაც გრიგოლ ვოლსკის მხოლოდ 2 ოთახი ეკუთვნოდა, ესეც უნდა გავაგებინოთ „ახალ ქართველებს“ სასახლეებიდან რომ დაჰყურებენ ვითომ უბრალო ხალხს და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ურევენ გონებას. გავაგებინოთ, როგორ იყვნენ თავდაუზოგავნი ქართული საქმის კეთებაში გრიგოლ ვოლსკი და ქართველი მწერალი, დიდი მოღვაწე დავით კლდიაშვილი. წავაკითხოთ ყველას დავით კლდიაშვილის ჩანაწერები, „ჩემი ცხოვრების გზაზე“ და კიდევ უფრო შეუყვარდებათ გრიგოლ ვოლსკი, დიდი ქართული საქმეების გამო, რომელიც თურმე არასოდეს იღლებოდა. ერთადერთ დღეს ითხოვდა დასასვენებლად — კვირას.

## ვინ ასწორებდა ილიას გაზეთს?

მწერალი დავით კლდიაშვილი წერდა — „დასვენება მინდა, უსათუოდ დასვენება!“ — ამბობდა ვოლსკი თვითონ ლიტერატორი-პოეტი, სულდგმულობდა ლიტერატურით. მან ზედმიწევნით იცოდა ქართული და უცხოური ლიტერატურა, ყოველი მისი საუბარი იმ დროს ლექციასავით იყო და ჩვენც დიდი სიამოვნებით ვისმენდით ხოლმე. ზედმიწევნით მცოდნე ქართული ენისა, იგი ხშირად ჩაუჯდებოდა „ივერიის“, „კვალის“ ნომრებს და ასწორებდა ხმარებულ ენას: ამ შენიშვნებით ავსებულ ფურცლებს, უგზავნიდა ილია ჭავჭავაძეს და გიორგი წერეთელს. ორივენი დიდად აფასებდნენ ამ შენიშვნებს და სთხოვდნენ გრიგოლს ხშირ-ხშირად მიეწოდებინა ამგვარები“.

ალბათ გია ვოლსკიც იღლება ამ უტიფრებისგან. კვიცი გვარზე ხტის? გია ვოლსკიც ხშირად უსწორებს ხოლმე „ხმარებულ ენას“, მაგრამ ეს შესწორებები რომ გაიგო, ჭეშმარიტად უნდა მიდიოდე დიდი ილიას გზით. ვთქვათ გულწრფელად, ვისი ქართული მოგვწონს, გია ვოლსკის თუ „ძაან ქართველების“ დედის გინება და ბილწსიტყვაობა ღია ეთერებიდან თუ პრესიდან?

დავით კლდიაშვილი იმასაც წერდა, როგორ მწუხარე იყო გრიგოლ ვოლსკი მწერალ ეგნატე ნინოშვილის ავადმყოფობის გამო. „დაიღუპა ყმაწვილი კაცი, დაიღუპა ნიჭი, საჭირო ნიჭი!“ — განსხვავებული სიმწარით ამბობდა გრიგოლი. გესმით? ნიჭიერი კაცი, საჭირო ნიჭი დაიღუპაო.

რით ჰგავს გია ვოლსკი თავის უახლოეს წინაპარს? გრიგოლზე წერდნენ... „განსხვავებული კეთილი გულის პატრონმა საოცარი რისხვით მისვლა იცოდა უსაქციელო ადამიანთან. აქ ის პირდაპირ გადარეული იყო. მისი გაბედული, უშიშარი მიმართვა, სავსე იყო ხოლმე გამანადგურებელი სიტყვებით. არ იცოდა დარიდება, რაც არ უნდა პიროვნება ყოფილიყო, უმაღლესი, უმდაბლესი — ამ დროს გარჩევა არ ჰქონდა. გავლენიანობით, თავისი სიდიადით, მას ვერავინ შეაშინებდა და ვერ ჩააჩუმებდა. სიტყვა ბასრი, ენამახვილი, იგი მშვენიერი რამ იყო, რისხვის წუთებში. უყვარდათ ეს ლამაზი, თავზარდამცემი რისხვა, მისი როცა აცამტვერებდა, რომელიმე მაღალ საფეხურზე მყოფ ზვიად პიროვნებას“ (დავით კლდიაშვილი).

ჰგავს? არა ჰგავს? ალბათ ჰგავს გია ვოლსკი გრიგოლ ვოლსკის. გია ვოლსკიც მიყვება სიკეთის გზას, ბევრს არ ხმაურობს გაკეთებულ საქმეებზე, ბევრი რამ ხომ გამოჩნდა ჩუღურეთის მაგალითზე, როცა ის ჩუღურეთლების მაჟორიტარი იყო, ეხლა დიდუბეც მიემატა.

## არჩევნების გამოცდილება

უცნაურია ბედისწერა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, მე-20 საუკუნის დასაწყისშიც ბევრნი ყოფილან ალიაქოთის ამტეხები საქმიანი ხალხის წინააღმდეგ. ქალაქი ქუთაისი ქალაქის თავის მოადგილეს ირჩევდა, კენჭს იყრიდა გრიგოლ ვოლსკი და ი. ივანოვი. ორივეს ცალ-ცალკე ყუთი დაუდეს, გრიგოლ ვოლსკიმ მიიღო 3 შავი და 17 თეთრი ხმა 20-დან.ი. ივანოვმა, 17 შავი და 3 თეთრი ხმა.ი. ივანოვმა იჩივლა, ჩინოსნებმა ხმები გამიყალბესო, დაიწყო გამოძიება, ხალხი აღშფოთდა, შეისწავლეს, დაადგინეს და გაზეთ „კვალის“ 1902 წლის 13 მაისის ნომერში გამოქვეყნდა — „ბათუმიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ ქალაქის გამგეობის წევრი გრ. ვოლსკი, ქუთ. გუბერნატორმა ქალაქის თავის მოადგილის თანამდებობაზე დაამტკიცა...“

## გულნატკენი ვოლსკი და დაგვიანებული სამართლიანი გადაწყვეტილება

ბევრს მუშაობდა გრიგოლ ვოლსკი, ბევრს მუშაობს გიორგი (გია) ვოლსკი, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის საუკუნეზე მეტი ძევს. აი არჩევნებზე კი რა მოგახსენოთ, ებრძოდნენ გრიგოლ ვოლსკის, ებრძვიან გია ვოლსკის.

1902 წლის N39 ნომერში, გაზეთში „კვალი“ არჩევნებთან დაკავშირებით დაიბეჭდა სუსხიანი წერილი, იქ ეწერა, რომ ამომრჩევლებს სია ეჭირათ ხელში და ანგარიშობდნენ, რომელი ერის, რამდენი ამომრჩეველია, რომელი რომელს მიემხრობა და სხვა. „ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პირობებში, რომლებშიც კერძო პიროვნული ინტერესებისა და პირადი სარგებლობისთვის ბრძოლა ისეა გამწვავებული, რომ გარეშე თავისა იშვიათად ვინმეს რამე ახსოვს.“

ამ წერილიდან 118 წლის შემდეგად, რაღაც მსგავსი ხდება საქართველოში, ოპოზიციურად ითვლიან რომელი ერის წარმომადგენელია სიაში, მართლა ვერაფერს იტყვი მრავალეროვან საქართველოში ამ უწიგნურებზე, უტიფრებზე და უნამუსოებზე.

საინტერესო დეტალებია, 1903 წლის 24 მარტს, ბათუმის გამგეობა იქნა არჩეული — ქალაქის თავი ივანე ანდრონიკაშვილი, გამგეობის წევრად გრიგოლ ვოლსკი, მდივნად ივანე მესხი. ბათუმის ოლქის გუბერნატორმა, გენერალმა ფონ პარკაუმ, გამარჯვებული გრიგოლ ვოლსკი არ დაამტკიცა გამგეობის წევრად, პოლიტიკურად არასაიმედოა ქართველებს ეხმარებაო.

1903 წლის 2 ივნისს, ვოლსკის ნაცვლად, გამგეობის წევრად არჩეული იქნა გ. ჟურული, ხალხი აღშფოთდა, სამართლიანობას ითხოვდნენ.

1905 წლის იანვარში, ვოლსკის ძველ მეტოქეს ი. ივანოვს, უფლებამოსილების ვადა გაუვიდა, ხალხმა წერილით მიმართა კავკასიის მთავარ მართებელს, სიმართლე, კანონი დაიცავიო, ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორს მთავარ მართებლის კანცელარიიდან მოუვიდა წერილი — „ახალი არჩევა არაა საჭირო, აცნობეთ ქალაქის თავს, რომ ვოლსკი დამტკიცებულია.“ უხაროდა ქალაქის თავს ივანე ანდრონიკაშვილს, უხაროდა ბათუმის მოსახლეობას, ქალაქში დიდი ზეიმი იყო. ხალხმა გაიმარჯვა 115 წლის წინ, რატომ ვერ გაიმარჯვებს 2020 წელს? მიუხედავად იმისა, თუ მთავარ მართებლივით, ვერავინ იტყვის — ახალი არჩევა, ჩვენებურად მეორე ტური, არაა საჭირო აცნობეთ პარლამენტს ვოლსკი დამტკიცებულია. აქ არჩევნები ჩატარდება, უნდა გაიმარჯვონ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებმა, უპირველესად ხალხის ძალით, თორემ პირადს გამოდევნებულების არჩევა დააზიანებს ჩვენს წარსულს, დღევანდელობას და არაფერს დაუტოვებს მომავალს, ისევე როგორც არ დაგვიტოვეს უწიგნურებმა და უტიფრებმა, მე-20 საუკუნის დასაწყისში დაწყებული და 1920 წელს დასრულებული ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც მდებარეობდა ბათუმში ერასა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში.

## ცნობები ჭკუის სასწავლებლად

1909 წლის 8 ოქტომბერს, თბილისში მოულოდნელად გარდაიცვალა გრიგოლ ვოლსკი, დასვენებულ იქნა ქაშუეთის ტაძარში, გრიგოლ ვოლსკი ბათუმის ქალაქის საბჭომ გადაასვენა ბათუმში, თავის სახსრებით „რკინის გზით“ — დროება „1909“ N222 გვ. 3.

1909 წლის 11 ოქტომბერს, აჭარამ დაიტირა სახელოვანი კაცი და პატივით დაკრძალა ეზოში, სადაც დაწყებული იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობა. ხალხმა „მოწყალე ხელმწიფეს“ წერილი მისწერა, მოითხოვა საფლავზე მისი ძეგლის დადგმა. „მოწყალე ხელმწიფემ“ უარი თქვა, ხალხმა ძეგლი მაინც დადგა მის საფლავზე.

1929 წელი, ბათუმის განაშენიანების საბაბით დაანგრიეს მართლმადიდებლური ეკლესია, დაანგრიეს ძეგლიც და საფლავიც დაიკარგა. ეკლესიის ქვებით ააშენეს 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მგონი დღესაც დგას ეკლესიაზე და საფლავზე.

აი ასე... უტიფრები უტიფრობდნენ და სიმწარეს მომავალი იმკიდა, ამიტომ ხალხს რომ ძალა აქვს, ის ძალა სწორი მიმართულებით უნდა მიმართოს თვითონ ხალხმა სამშობლოსათვის.

**მაყვალა ბერიანიძე**
საზოგადოებრივი მოძრაობა „სცადეს“ თავმჯდომარე
(საქართველოს ცივილიზაციის აუცილებელი დაცვის ერთობა)

# ეს დღე დაიმახსოვრეთ, აქედან სამ-ოთხ თვეში ეკლესიის განწმენდა დაიწყება



*გვესაუბრება*
*მეუფე მელქისედეკი*
*(ელიზბარ დიაკონიძე)*

**— მეუფე მელქისედეკ, იმის მიუხედავად, რომ საქართველოში არ იმყოფებით, თქვენი ფეისბუკ-პოსტებიდან ჩანს, რომ აქტიურად ადევნებთ თვალს მიმდინარე პროცესებს.**

— მოგესალმებით, გლოცავთ ყველას, მთელ საქართველოს, თქვენ, ასევე მივესალმები შესანიშნავ ადამიანს, პატრიოტ კაცს, „საერთო გაზეთის“ რედაქტორს, ბატონ ვახტანგ ხარჩილავას და პირდაპირ პასუხზე გადავალ, რადგან არაა მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკის დრო.

ჩვენდა საუბედუროდ და სამწუხაროდ, მოულოდნელი არ არის, რაც საქართველოში დღეს ხდება. როცა მეკითხებიან, რა ამბებია საქართველოში? მე ვპასუხობ: პარტიები ჩხუბობენ, ვერ იყოფენ სკამებს და ვიღაც მედიატორს თუ პატრონს მოუხმობენ, რომ უთხრან: ის, ვინც არის, კარგად ვერ ანადგურებს საქართველოს, აი, მე მომეხმარე, რომ მოვიდე, მე უფრო კარგად მოვაოხრებ საქართველოსო.

**— ეს „პატრონი“ ვინაა?**

— „პატრონი“ ამათ ქვეყნის გარეთ ჰყავთ, ამ „პატრონის“ პირველი და უპირველესი ხელის ბიჭი იყო მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც დაღუპა და გააპარტახა საქართველო, დააბნელა ადამიანთა სულები. ასობით ადამიანია მოკლული მისი მმართველობის პერიოდში, ასობით ციხეში ნაწამები, გაუპატიურებული მამაკაცი. მე ვეკითხები იმ ადამიანებს, რომლებმაც ხმა მისცეს „ნაციონალურ მოძრაობას“ და მათ განაყოფებს — არ იყვნენ ის ადამიანები რეჟიმის მსხვერპლები? ღირსი იყვნენ ისინი სიკვდილის? ღირსი იყვნენ წამების და შეურაცხყოფის?

2004 წელს ხუჯაბის ეკლესია რომ გადასცა სომხებს, სააკაშვილი არ იყო ის? სომხების პატრიარქი რომ ჩამოვიდა და ჩვენს პატრიარქთან რომ ყელყელაობდა, ყველას კარგად გვახსოვს — თავხედურად რომ იქცეოდა, ძველი ბიჭივით, რადგან გახარებული იყო, მიზანს რომ მიაღწია.

2006 წელს სააკაშვილმა უსახსოვრა „წითელი ხიდი“ აზერბაიჯანს, 28000 თურქს ერთ დღეში მოქალაქეობა რომ უბოძა, ის კაცია სააკაშვილი და დღეს აჭარაში იმ 28 000-მა თავის ოჯახთან ერთად, ანუ 50 000-მა თურქმა ხმა მისცა „ნაცმოძრაობას“.

სააკაშვილი არის „მაოხრებელი გზირი“, რომელიც, საქართველოს ისტორია რომ გავიხსენოთ, კონსტანტინე-მირზასავით შემოუძღვა მტერს საქართველოში.

აქვე გიორგი სააკაძეც მახსენდება, შაჰ-აბასი რომ შემოიყვანა საქართველოში და აქ, საქართველოში ამოჟლიტა, მარტყოფთან.

მაგრამ დონ დამიან სააკაშვილი მე გადავასვენე, როცა ხარების კათოლიკური ტაძარი დაუბრუნდა ჩვენს ეკლესიას. იმ ეკლესიის ეზოში იყო დასაფლავებული კათოლიკე მღვდელი დონ დამიან სააკაშვილი, მიხეილ სააკაშვილის დიდი ბაბუა. ის გახლდათ სომეხი კათოლიკე მღვდელი, რომელიც გორიდან იყო ქუთაისში კათოლიკურ ეკლესიაში მივლინებული.

მაგრამ ეს არაა მთავარი.

რა მნიშვნელობა აქვს, ვინაა სააკაშვილი, საერთოდ. დააკვირდით, რას ითხოვენ ის ადამიანები, რომლებიც მიტინგზე დგანან, რა ფორმით ითხოვენ და რა გამომეტყველებით. ლიდერები შეშლილებივით ყვირიან, მომიტინგე ახალგაზრდები თავის ქიცინით, უაზრო გამომეტყველებით, ცარიელი თვალებით ცეკვავენ უაზრო ცეკვებს. ესენი გადაწყვეტენ ქვეყნის ბედს და მომავალს?



**— 7000 მომიტინგე იყო იქო და 7000-ივე ასეთი ხომ არ იქნებოდა?**

— მე არ ვიცი, რამდენი იყო. ვთქვათ, 500 ადამიანი იყო, თუნდაც ეს არის საკმარისი იმისთვის, რომ თუ 500 სულელი ჰყავს ქვეყანას და ეს ხალხი ერთად იკრიბება, ძალიან ცუდადაა იმ ქვეყნის საქმე.

მიტინგებზე მდგომ ხალხს კი ჰგონიათ, რომ კარგად იქნებიან, მაგრამ იმას ვერ იაზრებენ, რომ ღრმად მოტყუებულები არიან უკვე.

წყლის ჭავლი რომ მიუშვეს ცსკო-ს შენობასთან, რატომ არ დასველდა მიტინგის არც ერთი ლიდერი?

**— ლიდერები ჯერ არ იყვნენ მისული მიტინგზე, გზაში იყვნენო.**

— კარგი, ბატონო, გზაში იყვნენ, თუნდაც. წყლის ჭავლი რომ გაუშვა, იმან არ იცოდა, ლიდერი რომ არ ჰყავდა მიტინგს? რატომ არ დაელოდა, სანამ ლიდერები მოვიდოდნენ, 10–15 წუთი, ან ნახევარი საათი ვერ მოითმინეს, წყალი მერე რომ მიეშვათ ლიდერებისთვის?!

დაავიწყდათ 7 ნოემბერს წიწაკიანი წყლით რომ დაწამლეს მომიტინგეები? მაშინ ქალბატონ ბურჯანაძეს ვედექი გვერდით და დღეს ძალიან მეწყინა, ნინო ბურჯანაძე ამ სამარცხვინო ერთობასთან რომ დავინახე.

საქმე, რაშია, იცით? შეიძლება, ძალიან ნაწყენი ვიყო ვინმეზე, მაგრამ ისე არ დავეცემი, რომ ავირჩიო არამზადების და სულით მახინჯების ბრბო.

რაც შეეხება მომიტინგეთა ნაწილს, რომლებიც ზრდასრულ ასაკში არიან — მოტყუებული გახლავან. მათ ჰგონიათ, სააკაშვილი თუ მოვა, უკეთესად იქნებიან, რადგან ეს „ლიდერი“ იტყუება და ამბობს: გამოვსწორდი! ის აღარ ვარ, რაც ადრე ვიყავიო. იმ მომიტინგეებმა არ იციან, რომ „არცა ძაღლის კუდი განიმართების თვინიერ სამარისა თანა“. სულხან-საბა ორბელიანმა ეს სიტყვები სწორედ სააკაშვილისნაირებზე თქვა — კოზმან ბერებზე, შადიმანებზე და მათნაირებზე თქვა, რადგან ასეთი ადამიანები არ სწორდებიან.

ოპოზიციის ლიდერები იბრძვიან სკამებისთვის და არა ხალხისთვის.

დამიჯერეთ, ხალხო, არც ერთი არაფერს კარგს არ გაგიკეთებთ.

ეს იმ ხალხის ნაწილია, რომლებმაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაამხო, რომლებმაც ეროვნული ძალები და ეროვნული მმართველობა გააპარტახეს, ამათგან კარგს რას უნდა მოელოდეთ.

**— სამწუხაროდ, ერი გაიხლიჩა — დაპირისპირებულია ერთმანეთთან მენტალურად, შეხედულებებით, სიმპათიებით.**

— ეს მდგომარეობა დღეს და გუშინ არ დაწყებულა. ყოველივე იმ ძაღლჩამკვდარმა შევარდნაძემ წამოიწყო და იარაღით დააპირისპირა ერთმანეთს ქართველები. სხვათა შორის, ზოგიერთი ვითომ კარგი მომღერალი, ახლა რომ „ჩიტომარგალიტოს“ მღერის, 90-იანებში ავტომატით დარბოდა და ეროვნულ ადამიანებს ხვრეტდა.

ის, მაშინ გახლეჩილი საზოგადოება, დღემდე ვერ შეერთდა, ვერ შედედდა, დღემდე ასე გაყოფილი მოვდივართ.

ყველას აწყობს ეს, რადგან ერის შეერთება საშიშია, ქართველების გაერთიანება კი — საფრთხისშემცველი.

**— თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ახლა ეკლესიის როლი? მანამდე ხომ არ უნდა ჩაერიონ, სანამ სიტუაცია არ გამწვავდება?**

— მე მახსოვს, პატრიარქის ინიციატივით, რამდენიმეჯერ დაიშალა საპროტესტო აქციები, მაგრამ ახლა რატომ არ ისმის ხმა საპატრიარქოდან? ახლა სად არიან, როცა რუსთაველზე საშინელება ხდება?

**— პატრიარქი…**

— დიახ, ვიცი, რაც უნდა მკითხოთ. გასაგებია, პატრიარქი მხცოვანია, მაგრამ სად არის მისი თანამოსაყდრე მეუფე შიო, რომელიც, როგორც მე ვიცი, ვაჟკაცი და გაბედული სასულიერო პირია? ახლა არაა სიჩუმის დრო. კარგი იქნებოდა, მაგალითად, 10 000 მოწამის ხსენების დღეს დაეწყოთ და მსვლელობა გაემართათ მთელი ქალაქის მასშტაბით, გაევლოთ რუსთაველზე, 9 აპრილის ძეგლთან ელოცათ და უხმოდ გაეგრძელებინათ გზა. ოპოზიციის ლიდერები აუცილებლად შეუერთდებოდნენ ლოცვას 9 აპრილის მემორიალთან. მაშინ უნდა ეთქვა პატრიარქს ან თანამოსაყდრეს პატრიარქის დანაბარები: სირცხვილია იმ საზოგადოების მეთაურობა და ლიდერობა, რომლებიც ნარკოტიკით არიან გაჟღენთილი და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციით იწონებენ თავსო. ვეტყოდი ამას ქალბატონ ნინოს, ბატონ შალვას, ბატონ გუბაზს და სხვებს. ასე განიმუხტებოდა სიტუაცია.

**— მგონი, საპატრიარქოშიც არიან ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს მისტირიან და ოპოზიციას თანაუგრძნობენ.**

— დიახ, დიახ. ზოგიერთს აწყობს ნაციონალების დაბრუნება, რადგან დღემდე იკვებებიან სააკაშვილისგან და მისი მომხრეებისგან. მათ საკვები მოაკლდებათ, თუ არ დაბრუნდა ეს უკუღმართი ძალა.

მეუფე პეტრე (ცაავა) შეერთებია მომიტინგეებს. მისულა და ლგბტ საზოგადოება დახვედრია იქ. მეუფე პეტრე პატრიარქზე ამბობდა უზნეობას. უზნეობით იწყება და მთავრდება ოპოზიციის მიტინგი და რა უნდა იქ მეუფე პეტრეს?!

გამომივიდა ეგ ახალი ქართველი ვალენტინი, რომელიც ერთნაირსქესიანებს სწერდა ჯვარს და მის სახელზე რომ დაწესდა მერე ვალენტინობა, ვითომ სიყვარული და ისაო.

**— ცოდვილებთან მოძღვარი არ უნდა მივიდეს?**

— ცოდვილებთან უნდა მივიდეს სამკურნალოდ და არა მხარდასაჭერად.

**— რას ფიქრობთ, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?**

— წმინდა მამა გაბრიელი ამბობდა: რუსთაველზე საშინელი ამბები მოხდება და არ გაეკაროთ იქაუროობასო, აფრთხილებდა მორწმუნეებს.

მეორედ მოსვლის წინა ჟამი გამოჩინების და გამოააშკარავების ჟამია, როცა ჩანს, ვინ ვინ არის. შეხედეთ, ვინ დგას ტრიბუნაზე და ტრიბუნის დაბლა. გამოააშკარავდა, ვინ რისი მაქნისი იყო და ვინ რას აკეთებს ქვეყნის დასაღუპად. გამოაშკარავდა ეკლესიის სიდუხჭირეც ამ საკითხში. არ ეკარებიან არც ერთ მხარეს, იმიტომ რომ, ელოდებიან, რომელი მხარე გაიმარჯვებს, ყუფარიასავით იქცევიან, სუყველა წყალში არიან გადასაყრელი, როგორც დათა თუთაშხიამ გადააგდო წყალში ბიკი ყუფარია.

ჩვენ ვართ კვართის მცველი ერი და ასე დაცემული როდემდე შეიძლება გვიგუოს დედაღვთისმშობელმა, რომლის წილხვედრი ვართ და როდემდე უნდა ითმინოს ჩვენი უკეთურობა უფალმა, რომელმაც თავისი კვართი ჩაგვაბარა? კვართის მცველ ერს გამოეცხადება უფალი მეორედ მოსვლისას, თავის „ტანსაცმელთან“ მოვა და ვინც ღირსია საქართველოში კვართის მცველის სახელის შენარჩუნების, ზუსტად ის გადარჩება.

ეს დღე დაიმახსოვრეთ. აქედან სამ-ოთხ თვეში ეკლესიის გაწმენდა დაიწყება. მე არ ვამბობ, რომ საბოლოოდ განიწმინდება, მე ვამბობ, რომ განწმენდა დაიწყება და ამ პროცესს დაიწყებს ადამიანი, რომელიც დღეს წმინდანია.

**— ვისზე მიმანიშნებთ?**

— მამა გაბრიელი დაიწყებს ეკლესიის განწმენდას.

**— რა იცით, ხილვა გქონდათ?**

— დიახ, ბატონო და ვის სულშიც ჩასახლდება წმინდა მამა გაბრიელი, ის დაიწყებს ეკლესიის წმენდას და ყველა ნახავთ შედეგს.

ქრისტეს კვართის მცველთა რიგებში ჩადგომა იჩქარეთ.

ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსო, ხომ გაგიგიათ.

ჩვენი მომიტინგეები სააკაშვილისთვის კვდებიან. საოცარია, პირდაპირ.

მაგრამ დადგება დრო, რომელიც არც ისე შორსაა და განირჩევა თხა ცხვრებისგან. როგორც გითხარით, მამა გაბრიელი გააკეთებს ამას მამა ნიკოლოზის ხელით.

მამა ნიკოლოზ მაქარაშვილი წმინდა მამა გაბრიელის მოწაფეა. მის სულში არის ჩასახლებული მამა გაბრიელის სული, ის აძლიერებს მას.

**— თქვენ იცნობთ ნიკოლოზ მაქარაშვილს?**

— როცა სვეტიცხოველში მგალობელი ვიყავი, იმ პერიოდში აღკვეცეს ბერად ნარიმან მაქარაშვილი, რომელიც მორჩილი იყო მანამდე. ის აღსარებებზე მამა გაბრიელთან დადიოდა. ძალიან პატიოსანი იყო. ყველგან დაჰყავდათ სახლის კურთხევაზე, ჯვრისწერაზე, პანაშვიდებზე, მაგრამ ფულს ხელს არ ჰკიდებდა, შესაწირავსაც კი. ამის გამო სამღვდელოება უკმაყოფილო იყო მისით. მამა გაბრიელმა წამოიყვანა იქედან, სწორედ ამ უკმაყოფილებას აარიდა.

მამა ნიკოლოზს დღეს სხვა ძალა მიენიჭა უფლისგან და სხვა გამოცდის წინაშე დგას ისიც და მის გვერდით მყოფი ხალხიც.

ეს ღვთის განგებაა და რაც მოხდება, ყველა დავინახავთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# ომი დამთავრდა! მშვიდობის გეშინოდეს, საქართველო!

„...სომხეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა რუსეთის გარეშე არ შეუძლია, ისევე, როგორც აზერბაიჯანს... მხოლოდ რუსეთს შეუძლია მათ შორის მთიან ყარაბაღში არსებული კონფლიქტის მოგვარება მოლაპარაკების გზით“, — ჯერ კიდევ ოქტომბრის შუა რიცხვებში აცხადებდა ისრაელელი სამხედრო ექსპერტი იაკობ კედმი. გამართლდა მრავლისმნახველი და დიდი გამოცდილების მქონე ექსპერტის მოსაზრება. 9 ნოემბერს დისტანციურად, ვიდეოჩართვის მეშვეობით, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ინიციატივით გაიმართა მოლაპარაკება, სადაც მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ პაშინიანი. განსახილველი ერთი საკითხი იყო — მთიან ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტა. საბედნიეროდ, სადაო ტერიტორიაზე ყოველგვარი საბრძოლო მოქმედებები დღეს უკვე შეწყდა, სრული სიმშვიდე დამყარდა.

აღნიშნულ მოლაპარაკებამდე, სომხეთის და აზერბაიჯანის პოლიტიკოსები სამჯერ შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე, დროებით ზავზე, საკითხის დიპლომატიური გზით მოგვარებაზე. თავდაპირველად დაპირისპირებული ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები მოსკოვში, რუსი კოლეგის სერგეი









ლავროვის შუამავლობით, პირისპირ შეთანხმდნენ ზავზე. შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუმცა, სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ცალ-ცალკე შეხვდა მინისტრებს. ამიტომაც მოლაპარაკება ექსპერტებმა არასრულფასოვან სამიტად შეაფასეს. მესამედ აზერბაიჯანელმა და სომეხმა პოლიტიკოსებმა დამოუკიდებლად, სატელეფონო საუბრების შემდეგ მოილაპარაკეს შეეწყვიტათ ცეცხლი. სამივეჯერ რამდენიმე საათში დაირღვა მიღწეული შეთანხმებები, რაშიც მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებდნენ. ამასობაში რეგიონში ბრძოლები გრძელდებოდა, იღუპებოდა ხალხი. მსხვერპლის რაოდენობა უცნობია. აზერბაიჯანულ მხარეს დღემდე არ გამოუქვეყნებია ზუსტი სტატისტიკური მონაცემები დაღუპულთა შესახებ. სომხეთის განცხადებით მათი სამხედრო მოსამსახურეების დანაკაგი 2500-მდეა. ექსპერტების შეფასებით და არარეალური ციფრებია. ოფიციალური ერევანი ცდილობს შეარბილოს რეალური მდგომარეობა.

მთიან ყარაბაღში ომის განახლების პირველ დღეებში აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ცეცხლის შეწყვეტაზე კი არა, მოლაპარაკებების დაწყების წინააღმდეგი იყო. მისი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ყარაბაღიდან სომხეთის საჯარისო შენაერთების გაყვანა იყო. ნიკოლ პაშინიანი ცეცხლის შეწყვეტის პირობად მინსკის ჯგუფის წევრების გააქტიურებას ასახელებდა, სადაც რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთია გაერთიანებული. ექსპერტები იმთავითვე ამბობდნენ პაშინიანს იქაური სომხური დიასპორის იმედი აქვსო.

საერთაშორისო ორგანიზაციების საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტისკენ მიწოდების მიუხედავად, ვითარება ყარაბაღში ყოველდღიურად მწვავდებოდა. შეიქმნა კონფლიქტის გაფართოების საშიშროება, ანუ მთლიანად მოეცვა ამიერკავკასია. სიტუაციას ამწვავებდა ყარაბაღში სირიიდან თურქეთის გავლით გადასროლილი ე.წ. „ბოევიკები“, რომლებიც აზერბაიჯანის მხარეს იბრძოდნენ. მართალია, ილჰამ ალიევი კონფლიქტში ნებისმიერი მესამე ძალის მონაწილეობის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მათ, ვისაც არ სურდათ რეგიონში მშვიდობის დამყარება, ვერ ეწინააღმდეგებოდა. იგივე იაკობ კედმის თქმით, მოსკოვში მიღწეული შეთანხმება ჰუმანიტარულ ზავზე, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა ჩაშალა, რომელმაც მოლაპარაკების დასრულებისთანავე დაურეკა ალიევს. ყარაბაღში „ბოევიკების“ არსებობის შესახებ ღიად საუბრობდა სომხეთის და რუსეთის მხარე. პუტინი რამდენჯერმე ტელეფონით ესაუბრა ერდოღანს, რომელიც მიუთითებდა, რომ სულ უფრო იზრდებოდა ყარაბაღში ახლო აღმოსავლეთიდან ჩაყვანილი „ბოევიკების“ რაოდენობა.

გაურკვეველი პოზიცია ეკავა ნიკოლ პაშინიანს. ერთის მხრივ სთხოვდა რუსეთის მხარეს სამშვიდობო ძალების შეყვანას ყარაბაღში, მაგრამ ფაქტობრივად უმოქმედოდ იყო, საბრძოლო მოქმედებების შესაჩერებლად არაფერი გაუკეთებია. პირიქით, ამწვავებდა კიდეც ვითარებას. სომხეთმა რამდენჯერმე დაბომბა ქალაქი განჯა, რომელიც ყარაბაღის ფარგლებს გარეთ არის. საპასუხო შეტევების შედეგად აზერბაიჯანის ჯარმა დაიკავა სტრატეგიული სიმაღლეები, რომლებსაც სომხეთი აკონტროლებდა. ამის გარდა სომხებმა დაკარგეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. შეიქმნა საშიშროება, რომ დაიკარგებოდა ყარაბაღის მთავარი ქალაქი სტეპანაკერტი. მეორე დიდი ქალაქი შუშა, რომელიც მთავარ ქალაქიდან სულ რაღაც 20 კილომეტრშია, აზერბაიჯანელმა მხარემ თითქმის უპრობლემოდ დაიკავა. საფრთხე დაემუქრა ყარაბაღში მყოფ სომხურ საჯარისო შენაერთებს. მოკლედ, კატასტროფულ ვითარებაში აღმოჩნდა არამარტო ყარაბაღი, არამედ მთლიანად სომხეთიც.



მთიან ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მხარეებმა ხელი დისტანციურად, ვიდეოჩართვისას მოაწერეს. თუმცა კადრებში მხოლოდ ვლადიმირ პუტინი და ილჰამ ალიევი ჩანდნენ, ეკრანზე ნიკოლ პაშინიანი საერთოდ არ გამოჩენილა. კრემლის პრეს-სამსახურის ცნობით, პაშინიანი ტელეფონით ესაუბრებოდა პუტინს. აქვე სათქმელია, რომ სად იმყოფება პაშინიანი დღემდე უცნობია. გავრცელდა ორი ინფორმაცია — ერთის მიხედვით პაშინიანი აშშ-ის საელჩოს აფარებს თავს, მეორეთი თავდაცვის სამინისტროს ბუნკერშია.

საინტერესოა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება საყოველთაოდ სრულიად მოულოდნელი მოვლენა აღმოჩნდა. ჟურნალისტები პროცედურის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მიიწვიეს, რისთვის არ დაუკონკრეტებიათ. კრემლთან დაახლოებულმა ჟურნალისტებმაც არ იცოდნენ რისთვის დაიბარეს. აშკარა იყო, რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენა ხდებოდა. სწორედ ტელეკამერების წინ მოაწერეს ხელი შეთანხმებას პუტინმა და ალიევმა. აქვე გახდა ცნობილი შეთანხმების პირობებიც — მხარეები უპირობოდ შეწყვეტენ ყოველგვარ საბრძოლო მოქმედებებს, დარჩებიან რეალურად დაკავებულ პოზიციებზე, ყარაბაღიდან ძველი და ახალი დევნილები დაუბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებლებს... 9 პუნქტიან შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი პირობა კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების განთავსებაა. სამშვიდობოები ჩადგებიან დაპირისპირებულ მხარეებს შორის, გააკონტროლებენ ლაჩინის, სომხეთიდან ყარაბაღთან დამაკავშირებელ გზას. რუსი მესაზღვრეები გააკონტროლებენ ასევე ნახიჩევანიდან აზერბაიჯანთან დამაკავშირებელ გზას. მისიას შეასრულებს 2000 სამხედრო მოსამსახურე, 90 ჯავშანმანქანა, 10 საბრძოლო ვერტმფრენი.

შეთანხმების პირობები პაშინიანმა მოსახლეობას ვიდეოჩართვით გააცნო. ინფორმაციამ მოსახლეობაში საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია, ერევანში სპონტანურმა დემონსტრაციამ იფეთქა, რომელიც არეულობაში გადაიზარდა — დაარბიეს პრემიერ-მინისტრის ოფისი, პარლამენტი, სასტიკად სცემეს პარლამენტის თავმჯდომარე. დემონსტრანტები ითხოვენ პაშინიანის გადადგომას, „მოღალატეს“ და „გამყიდველს“ უწოდებენ. თავად პაშინიანი თავს იმართლებს შეთანხმებისთვის ხელი რომ არ მომეწერა ათასობით მეტი მსხვერპლი იქნებოდაო. მოსახლეობას, რომელიც მის მიმართ დღემდე ლოიალურად იყო განწყობილი და ბევრი შეცდომაც აპატია, არაფრის გაგონება არ სურს. პაშინიანი, რომელიც ხელისუფლებაში საპროტესტო აქციების (რეალურად სახელმწიფო გადატრიალების) მეშვეობით გახდა ქვეყნის მმართველი, ახლა ძალის გამოყენებით ცდილობს მოსახლეობის პროტესტის ჩახშობას. ილჰამ ალიევმა ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტას ისტორიული დღე უწოდა. აზერბაიჯანში საყოველთაოდ ზეიმობენ გამარჯვებას.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევაში რუსეთის ინიციატივას მაღალ შეფასებას აძლევენ მსოფლიოს ქვეყნები. აშშ-ის სახელმწიო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, რუსეთმა გააკეთა რაც აშშ-მა ვერ შეძლო, ევროპელი ექსპერტები ევროკავშირის დამარცხებად და რუსეთის წარმატებად აფასებენ მიღწეულ შეთანხმებას. რუსეთმა ომში ჩაურევლად შეძლო საბრძოლო მოქმედებების შეჩერება.

ევროპელი პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ რუსეთმა ამიერკავკასიაში პოზიციები დაიბრუნა, რაც დაკარგული ჰქონდათ. შეთანხმების მიხედვით, სამშვიდობო ძალები ყარაბაღში 5 წლით განთავსდებიან, რომლებიც დაიცავენ სომხეთს თურქეთისა და აზერბაიჯანისგან, ასევე მთელს მთიან ყარაბაღს, სადაც აზერბაიჯანელებიც ცხოვრობენ. სომხეთში გიუმრის სამხედრო ბაზას ახლა აზერბაიჯანისაც დაემატება სამშვიდობოების მეშვეობით, რადგან ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. ამასთან, ორი დღის წინ პუტინი ტელეფონით კვლავ ესაუბრა ალიევს და კატეგორიულად მოსთხოვა აზერბაიჯანულმა მხარემ დაიცვას და გაუფრთხილდეს მთიან ყარაბაღში განთავსებულ ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს, რაზედაც ალიევმა უყოყმანოდ განუცხადა თანხმოდა. თავდაპირველად ალიევს სურდა სამშვიდობო მისიაში თურქებიც ყოფილიყვნენ, მაგრამ რუსეთი სასტიკი წინააღმდეგია. თურქი დამკვირვებლები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე (ყარაბაღის ფარგლებს გარეთ) განთავსდებიან. რჩება ერთი საკითხიც — სად არიან ყარაბაღში მყოფი „ბოევიკები“. ექსპერტების შეფასებით ყარაბაღში ომის დასასრული მსოფლიოს ახალი გადანაწილების დასაწყისია. მოკლედ, ომი დამთავრდა! მშვიდობის გვეშინოდეს გვეშინოდეს ხალხო!

**გია ბურდული**
551 71 27 07



# აქ ქვანიც ღაღადებენ, მაგრამ გამყიდველთა ყური ჯოჯოხეთის კუპრით არის დახშული

გარემოებათა ახალი თანწყობა ხშირად სხვაგვარად წაგვაკითხებს ისტორიას.

ამ გარემოებათა გამო ახლა დავრწმუნდი, რომ ილია მართლის „ქვათა ღაღადი“ არა ვინმე გარმიანელთათვის, არამედ გულყრუ ქართველთათვის იყო დამისამართებული; ვაი, რომ იმ ქართველთათვის, რომელთაც სულ მალე ტყვია სწორედ „ქვათა ღაღადის“ ავტორს დაუმიზნეს...

ჩვენი ბედკრული საზღვრების დამდგენ სახელმწიფო კომისიაში, რომელიც 2006 წელს შეუქმნია მაშინდელ პრეზიდენტს და 2013 წელს ახლად (ცვლილებებით) დაუმტკიცებია, დაუჯერებელია,



მაგრამ არცერთი მეცნიერული ავტორიტეტი არ არის. გასული საუკუნის დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე სახელმწიფო საზღვარს ადგენდნენ დიდი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილისა და პავლე ინგოროყვას კარნახით, დღეს კი მეცნიერების არსებობა აღარც ახსოვთ. აზრად არ მოსდით, რომ აკად. დავით მუსხელიშვილს მაინც დაეკითხონ, ისტორიული გეოგრაფიის დიდ სპეციალისტს. სწორედ მეცნიერების იგნორირებაა ქვეყნის ძნელბედობათა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არაერთი მიმართულებით და ეს უბედურება მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ ჩვენს ქვეყანას სჭირს!.. ვინ არიან ამ კომისიის მუდმივი წევრები, როგორიც, მაგალითად, ნატალია ილიჩოვაა? მისი სტატუსი ამ შემადგენლობაში ასე „შთამბეჭდავად“ სახელდება: „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების — საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საზღვრის დაცვისა და კონტროლის სამმართველოს სადელიმიტაციო-სადემარკაციო და სასაზღვრო წარმომადგენლობითი საქმიანობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი“. ამ ქალს, რომელსაც საქართველოს იმდენი თვისობაც კი არა აქვს, რომ საყველპურო ქართული ესწავლა, დარწმუნებული ვარ, ამ სახელწოდების გამეორებაც კი არ შეუძლია. და ის საზღვრის დამდგენი (პომპეზურად: სადელიმიტაციო-სადემარკაციო!) სახელმწიფო კომისიის მუდმივი და მთავარი ჭკუისსაკითხავი წევრი იყო!

საზღვარი თავისთავად არის სახელმწიფოებრივი პრესტიჟის საკითხი და მას უბოდიშოდ არც თვითონ უნდა დააბიჯო და არც სხვას დაადგმევინო ფეხი.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ დავითგარეჯის ტერიტორია მხოლოდ საზღვრის თემა არ არის.

დავითგარეჯა საქართველოს დიდი ისტორიის ისეთი ოქროს ფურცელია, რომელიც ქართველი ერის მსოფლიო კულტურულ მისიას ხელშესახებად წარმოაჩენს.

ფიგურალურად რომ ვთქვათ: დედამიწის ზედაპირი კაცობრიობის ხანგრძლივი შემოქმედებითი ძალისხმევის მრავალფეროვანი პანორამაა, რომელზეც მხოლოდ გამორჩეულ ერებს ერგოთ პატივი, დაესვათ თავიანთი უკვდავი ანაბეჭდი.

ქართველი ერის ერთ-ერთი წარუშლელი ბეჭედი კაცობრიობის ამ საგანძურში არის დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი. სადაც სამართალია, დღეს, როდესაც ცივილიზებული ევროპა, იუნესკო ესოდენ დიდ ძალისხმევას მიმართავს კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად, რომელიმე ერის ასეთი კულტურული ნაკვალევი მთელი მსოფლიოს დაცვის ობიექტად და ყოველგვარ სახელმწიფოთა ურთიერთობაზე მაღლა მდგომად უნდა იყოს გამოცხადებული!

ამ უნიკალური გეოგრაფიული სივრცის ახალ სიცოცხლეს თხუთმეტი საუკუნის წინ უწმინდესი მამის — დავით გარეჯელის უკვდავი ღვაწლით ჩაეყარა საფუძველი.

ათსამეტი ასურელი მამის სასწაულებრივი მოვლინება წმიდა ნინოს მირონცხებულ ქვეყანაში განასახიერებდა საქართველოს მისიას კაცობრიობის ცივილიზაციის სრულიად ახალ — ქრისტიანულ ეტაპზე.

რაც, მთავარია, ამ წმიდა მისიონერთა სივრცული ტოპოგრაფია აშკარად აჩვენებს, რომ მათ დაიკავეს ქართველი ერის ქრისტემდელი მოღვაწეობის ყველაზე თვალსაჩინო (და სტრატეგიული შინაარსის) ადგილები.

წმ. იოვანე ზედაზენზე დადგა (ეს ისტორიული ზედა ზადენია, ფარნავაზის დიდი ასპარეზის გადმოსახედი).

წმ. შიომ აირჩია ქართლის მღვიმეები, სადაც არქეოლოგია უხსოვარი დროის კვალს ადასტურებს.

წმ. ანტონი მარტყოფის სტრატეგიულ გადმოსახედზე დაეყუდა.

წმ. ზენონმა იყალთოს დიდ სასულიერო-საგანმანათლებლო კერას დაუდო სათავე.

წმ. აბიბოსმა ნეკრესის გადმოსახედი დაიმკვიდრა, სადაც კავაკასიონის მთისწინეთის დიდი და ძლიერი წინარექრისტიანული ცენტრი არსებულა.

წმ. დავით გარეჯელი გარეჯის ქედის „სტრატეგიულ“ გადასახედ-გადმოსახედს დაეუფლა. არქეოლოგიის მოწმობით, აქ ქართველი ქვის ხანიდან სახლობდა, მეურნეობასა და მეტალურგიას ავითარებდა.

მხოლოდ ამ წმინდანის სახელიც საკმარისია ამ ადგილების ისტორიული წარუშლელობისათვის.

ეს ის წმინდა მამაა, რომელიც თვით იერუსალიმის პატრიარქმა იხილა სასწაულებრივ ზმანებაში.

დიახ: დავით გარეჯელს სიცოცხლის მიწურულს აღუსრულებია თავისი სულიერი მოღვაწეობის კიდევ ერთი აღთქმა და წმინდა იერუსალიმში ფეხით ჩასულა.

როდესაც იგი იერუსალიმის გადასახედ მადლის ქედს გადაადგა (რომელიც ერთგვარად გარეჯის ქედს მოგაგონებთ) და ღვთაებრივად თეთრი ქალაქი დაინახა, თავმოდრეკით თქვა: საკმარისია, რომ ვიხილე ეს წმინდა ქალაქი, მის მიწას ჩემი ფეხით არ შევბღალავო! ლოცვად დადგა, მერე იერუსალიმის ამ ქედიდან მოწიწებით აიღო სამი ქვა, უბეში ჩაიდო და უკან გამობრუნდა.

მაშინ იერუსალიმის პატრიარქს, ილია მეორეს ხილვად ანგელოზი გამოეცხადა: ვინმე წმინდა



კაცი მოვიდა საქართველოდან და თან იერუსალიმის მთელი მადლი წაიღოო. გაეღვიძა პატრიარქს და მორჩილებს უბრძანა: დაეწიეთ იმ წმინდა კაცს, ორი სიწმინდე დაატოვებინეთ და მხოლოდ ერთი გაატანეთო. ასეც მოიქცნენ.

ასე ჩამოიტანა დავითმა იერუსალიმის წმინდა ქვა დავითგარეჯაში და ის უდაბნოს ფერისცვალების ლავრაში იყო დავანებული. შეიძლება ითქვას, რომ სიმბოლურად, მადლისა და სიწმინდის თვალსაზრისით ეს კლდეებიც და ეს ტაძრებიც იერუსალიმის სპეტაკი ქვით არის ნაშენი.

მხოლოდ დავითის წმინდა კვალი და მონასტერი რომ არსებულიყო ამ ქედზე, ისიც საკმარისი საბუთი იქნებოდა ისტორიისათვის. მაგრამ დავით გარეჯელის ღვაწლით და მადლით აქ მთელი სამონასტრო კოლონია შეიქმნა, კიდევ არაერთი მონასტერი დაარსდა, დავითის სიცოცხლეშივე — დოდოს რქის მონასტერი, შემდეგ — ნათლისმცემელი... წყაროებში მოიხსენიება „გარეჯის ათორმეტნი მონასტერნი“, შემდეგ მათი რიცხვი უფრო გაზრდილა. მხოლოდ ჩამონათვალიც კი შთამბეჭდავია:

დავითის ლავრა
წამებული
ნათლისმცემელი
ჩიჩხიტური
თეთრ-სენაკები
დოდოს რქა
უდაბნო
აღდგომისა წამებული
ბერთუბანი
მღვიმე
ქოლაგირი
დიდი ქვაბები
ვერანგარეჯა
პირუკუღმართი
პატარა ქვაბები
საბერეები

მთელი ისტორიის განმავლობაში აქ სამონასტრო ცხოვრება ყვაოდა და კეთილ ნაყოფს გამოსცემდა. თვით ვახუშტი ბაგრატიონის დროსაც კი აქ ძლიერი საქრისტიანო ცენტრია. იგი გვამცნობს: „გარეჯის მთას არს მონასტერნი, კლდესა შინა გამოკუეთილნი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი, ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი. ნათლისმცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხიტურს ზის წინამძღუარი, დავით-გარეჯას არქიმანდრიტი, ბერთუბანს წინამძღუარი. არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი ვიდრე მწარე-წყლამდე და მოწესითა სავსენი, ხოლო აწ არს ხუთი მოწესითა მყოფი.“

აშკარაა, რომ საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში ამ სამონასტრო სივრცეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. დავით აღმაშენებელმა ეს მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია და სახელმწიფო გადასახადისაგან გაათავისუფლა. სამეფო დინასტიის არაერთი წარმომადგენელი ჩანს სხვადასხვა ძნელბედობის გამო მრავალგზის განახლებულ მონასტერთა შემომწირველი და ქტიტორი.

ამ მონასტრებს ამკობს მე-10-მე-14 საუკუნეების შესანიშნავი ფრესკული მხატვრობა (რომელიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს), ამსახველი საქართველოს ვრცელი ისტორიისა; აქ არიან გამოსახული საქართველოს დიდი მეფეები — თამარი და ლაშა-გიორგი (ბერთუბანი), დემეტრე თავდადებული (უდაბნო).

აქ მოღვაწეობდნენ საოცარი წმინდა მამები, აქ აღესრულა 6000 წმინდა მოწამე. ამ სავანესთან არის დაკავშირებული არაერთი დიდი მოღვაწის სახელი, მათ შორის — ონოფრე გარეჯელი, სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ



პირველი, ტიმოთე გაბაშვილი...

ამ ტერიტორიაზე ქართველი არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია უდაბნოპითეკის ქვედა ყბის ფრაგმენტი; მრავალწყლის, ჩამძვრალიხევის, ნაცვალწყლის, ალანდრის ხევებში გამოვლენილია მეტალურგიული სახელოსნოების ნაშთები...

ისტორიისათვის, ისტორიული გეოგრაფიისათვის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა ტოპონიმიკა, ის უშუალოდ და ობიექტურად ასახავს ამა თუ იმ ხალხის ნაკვალევსა და ნამოღვაწარს. ამიტომაც იყო, რომ მომხდური, კულტურის ძეგლების განადგურებასთან ერთად, სწორედ ამ ისტორიული სახელების წარხოცვას ცდილობდა.

აქ კი, მთელ ამ არეალში მთლიანად ქართული ტოპონიმიკაა, რაც ქართველი ადამიანის მოღვაწეობის სრულ უწყვეტობას ადასტურებს. დააკვირდით, ამ სახელწოდებათა უმეტესობის ისტორიული (ქართული) შინაარსი საგანგებო ანალიზის გარეშეც აშკარაა; თუნდაც ადგილობრივ რელიეფთან დაკავშირებული სახელები: მწარე-წყალი, მრავალწყალი, ჩამძვრალიხევი, ნაცვალწყალი, ნაომარი გორა, მლაშე ტბა, ბაიდოს კალო...

აგებულების ტოპონიმია, ჩიჩხიტა ღია, მარღი თვალების მქონე ადამიანს ნიშნავს და ის უთუოდ იმ ადამიანის თავისებურებას ასახავს, ვინც ჩიჩხიტურის კოშკი ააშენა ან ეკუთვნოდა.

რაღა გავაგრძელოთ?..

დიახ, აქ ყოველ ქვას, ყოველ ადგილს, ყოველ კედელს, ყოველ მღვიმეს ქართული ბეჭედი აზის და თავისი ენით ღაღადებს წარმომავლობასა და კუთვნილებას.

მაგრამ როგორ გაიგონებს ამ ღაღადს იმ ქართველის ყური, ვისაც სარფაზე ფიქრით აქვს ყურიც და თვალიც ამოგლესილი, ვისაც დაფიცებული აქვს იმ კონსტიტუციაზე, რომელშიც წერია: ყველაფრის გაყიდვა შეიძლება, სინდისის გარდა (რადგან ასეთ დროს ეს უკანასკნელი აღარც არსებობს), ვინც მამაპაპეულ რჯულს განუდგა, კერპთაყვანისმცემელი გახდა და ძალადობასა და უზნეობას, მოძალადესა და უპატიურს უკმევს გუნდრუკს...

ასეთი სიყრუისა და სიბრმავის დროს საქართველო ზარებს არისხებდა ხოლმე.

სანამ ამ სულგაყიდულ პოლიტხროვას ქვეყანა საბოლოოდ არ გადუჩეხავს უფსკრულში, ჩვენ — რიგითმა ქართველებმა — უნდა ვიპოვოთ ერთობის ძალა და მამულის ზარები კიდევ ერთხელ დავარისხოთ.



ტოპონიმი გარეჯა, აგიოგრაფი ცნობითვე, დავითის განდგომილ ცხოვრებას, ანუ წმინდა ბერის „გარე სჯას“ (გარეთ, განდეგილად მოღვაწეობას) უკავშირდება, აქედან — დავით-გარეჯა.

უდაბნო ძველქართულად დაბნების, ანუ დასახლებათა არარსებობას ნიშნავდა, ასეთი ადგილები ბერთა მოღვაწეობის საუკეთესო გარემოდ მიიჩნეოდა და ამიტომაც იქცა ის ბერთა სამყოს, მონასტრის სინონიმად.

ბერთუბანი, ცხადია, ბერთა უბანია.

პირუკულმართი მონასტრის ადგილმდებარეობას უნდა ასახავდეს, რქმევის ადგილიდან „უკულმა“, ანუ იქით მხარეს არსებულს.

ვერანგარეჯა უთუოდ ისტორიულ ძნელბედობას, ანუ მონასტრის გავერანების შემთხვევას აღბეჭდავს. ეს მონსტრები ხომ არაერთგზის გაუოხრებიათ მთრის ურდოებს, მაგალითად, 1265 წელს დაურბევია მონღოლთა ლაშქარს, ორი საუკუნის შემდეგ მთლად გაუვერანებია თემურ-ლენგს...

ჩიჩხიტური ასევე ქართული

გარემოებათა მიმდინარეობა მაიძულებს, ვთქვა:

სახელმწიფო არ არის შექმნილი იმისათვის, რომ მგლის თავზე სახარება იკითხოს. ამ ფუნქციას ეკლესია ასრულებს, მაგრამ მასაც უმეტესად უმადურად მისდის მსგავსი ძალისხმევა. ამიტომაც შეუქმნია ხალხს მითითებული სიბრძნე. სახელმწიფოს ფუნქცია კანონის დაცვა და განხორციელებაა, და რაც უფრო ძლიერდება დემოკრატიის „პულსი“, მით უფრო ზუსტი და უღალატო უნდა იყოს კანონის „კარდიოგრამა“. სახელმწიფოს ღირსება კანონის განხორციელებაზეა დამოკიდებული. თუ ის კანონს ვერ აღასრულებს, როგორც არაერთგზის ვნახეთ, მტერი მთლად თავს აიშვებს, ხოლო მოყვარე პატივისცემას (ნდობასა და სიყვარულს) დაკარგავს...

ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა, სამართალმა პური ჭამოს!

**ავთანდილ არაბული**




# „მე მიცავს ჩემი პოლიცია!..“

„ჩვენ გვაქვს ყველა პოლიციელის პირადი ტელეფონი, ბევრმა თქვენგანმა იცის, სად ცხოვრობენ, ჩვენ უნდა მივიდეთ მათ სახლებთან, ველაპარაკოთ მათ მშობლებს, უნდა გავუკეთოთ წარწერები — აქ ცხოვრობს, რატომ დამიჭირე, რატომ მცემე, რატომ მჩაგრავ, რატომ ემსახურები საქართველოს მტერს“.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს სიტყვები იმ კაცს ეკუთვნის, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტი იყო.

სხვა რომ არაფერი ეთქვა მიხეილ სააკაშვილს, ამ სიტყვებიდანაც ნათელია, რას წარმოადგენს და ვინ არის იგი.

პოლიცია სახელმწიფოს ბურჯი და ფარია და ადამიანი, რომელიც პოლიციელის წინააღმდეგ გალაშქრებისკენ მოუწოდებს მოქალაქეებს, ფაქტობრივად, სახელმწიფოს უცხადებს ომს.

ადამიანი, რომელიც ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ვერ აცნობიერებს, პოლიტიკოსად და სახელმწიფო მოღვაწედ რომ არ ვარგა, ეს ცხადზე ცხადია, თუმცა, ამასთან ერთად, გასაკვირი და გასაოცარი ისიც არის, ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს ასეთი ავანტურისტი და პროვოკატორი რომ აურჩევია ლიდერად და წინამძღოლად.

მართალია, სააკაშვილი ხშირად გვარწმუნებს, რომ მან ააშენა ახალი ქართული სახელმწიფო, თუმცა, სინამდვილეში, რასაც ის აკეთებდა, სწორედ ქართული სახელმწიფოს და იმ სახელმწიფო სტრუქტურების ნგრევას და დისკრედიტაციას ემსახურებოდა, რაზეც დგას თავად სახელმწიფო.

სააკაშვილის მსახვრალი ხელი იმჟამინდელ პოლიციასაც შეეხო. მან სცადა, პოლიცია თავისი დანაშაულებრივი და კრიმინალური რეჟიმის მთავარ აქტორად, მთავარ საყრდენ ძალად ექცია, თუმცა ამ ბოროტი განზრახვის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხა.

პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ სააკაშვილი ახალი ფრონტით იწყებს ძალოვანი სტრუქტურების წინააღმდეგ ბრძოლას და ამ ბრძოლაში რთავს მის კონტროლს დაქვემდებარებულ საინფორმაციო საშუალებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჟურნალისტებს, ყოფილ ძალოვნებს, სოციოლოგებს, ექსპერტებს, ანალიტიკოსებს.

შავი პიარის ტექნოლოგიებზე დაყრდნობილი ამ ფართომასშტაბიანი ბინძური კამპანიის შედეგად ცხრა წელია ვისმენთ „საგანგაშო“ განცხადებებს: „პოლიცია დემორალიზებულია“, „ქვეყანას კრიმინალები მართავენ“, „ძალოვანი სტრუქტურები ჩამოიშალა“, „ქართული სახელმწიფო არ არსებობს“ და ა. შ.

ეს არის ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობა და დივერსია, თუმცა, სამწუხაროდ, ამ დანაშაულებრივ ქმედებებს დღემდე ვერ მიეცა სათანადო სამართლებრივი შეფასება და კლასიფიკაცია, რაც დაუსჯელობის ილუზიას უქმნის ამ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჩაბმულ ადამიანთა საკმაოდ ფართო წრეს.

საქართველოს ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული შესანიშნავი პოლიცია, რომელიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას.

საქართველოს მოქალაქეები ენდობიან პოლიციას, უყვართ და პატივს სცემენ მას, რაც, პირველ რიგში, პოლიციის დამსახურებაა.

საზოგადოებამ იცის, რომ პოლიციაზე შეტევა ეს საზოგადოებაზე შეტევაა, მის უსაფრთხოებაზე, მის უფლებებზე შეტევაა.

ამიტომაც გამოიწვია უკიდურესი აღშფოთება საზოგადოებაში პრეზიდენტყოფილის ამ უპასუხისმგებლო, თავისი არსით უაღრესად სახიფათო და იმავე დროს ანტიადამიანურმა მოწოდებამ.

პოლიციელები უმძიმეს შრომას ეწევიან, რომ დაიცვან ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი უსაფრთხოება, ჩვენი ჯანმრთელობა, შეგვიქმნიან ნორმალური ცხოვრების და საქმიანობის პირობები და ამის სანაცვლოდ, ჩვენ მათ სახლებში უნდა მივუვარდეთ? ცოლ-შვილი უნდა დავუფრთხოთ? მშობლები უნდა დავუწიოკოთ? დავამციროთ, დავაკნინოთ, ღირსება შევულახოთ?

ყველამ კარგად დაიმახსოვროს: ქართველი ხალხი არ დაუშვებს პოლიციის წინააღმდეგ გალაშქრების მცდელობას.

შორს თქვენი სისხლიანი ხელები პოლიციისაგან!

**„საერთო გაზეთი“**
593 44 04 01

P.S. ამასწინათ „ინციდენტი“ შეგვემთხვა...

**გაზეთზე მუშაობას გვიანობამდე ვერ მოვრჩით და რედაქცია რომ დავტოვეთ, კომენდანტის საათი კარგა ხნის დაწყებული იყო. პატრულმა გაგვაჩერა და საბუთები მოგვთხოვა.**

**აღმოჩნდა, რომ ჩვენი მძღოლის საშვი მონაცემთა ბაზაში არ იძებნებოდა.**

**ჰაერში 2000-ლარიანი ჯარიმის სუნი დატრიალდა...**

**შევწუხდით...**

**თუმცა, როგორც კი გაიგეს, რომ ჟურნალისტები ვიყავით, ჩვენზე არანაკლებ პოლიციელები შეწუხდნენ.**

**სასწრაფოდ გადარეკეს და გაარკვიეს, რომ საშვი რაღაც ტექნიკური მიზეზის გამო იყო შეჩერებული.**

**მერე ისევ გადარეკეს და ეკიპაჟები გააფრთხილეს, რომ ჩვენთვის პრობლემები არ შეექმნათ.**

**სრულიად ახალგაზრდები იყვნენ პოლიციელები, საოცრად თავაზიანები, ზრდილები, თბილები... აი, ისეთები, რა დედამ გაზარდაო, რომ იტყვი.**

**სამწუხაროდ, მათი გვარ-სახელები არ ვიცით, მაგრამ ვიცით, ეკიპაჟის მანქანის ნომერი — FF-920-RR**

**გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და ამ შესანიშნავ პოლიციელებს დიდი მადლობა ვუთხრათ.**

**ეს ამბავი წინა სამშაბათს მოხდა, ღამის 11 საათზე, დიღმის მასივში, მაიაკოვსკის ძეგლის სიახლოვეს.**

**„ს.გ.“**

# „სახალხო ქალბატონი“ ანუ ომბუდსმენი ლომჯარია







მეგობრებო, მინდა საგანგებოდ გაცნობოთ, რომ ჩვენ, საქართველოს მოსახლეობას გვყავს რაღაცნაირი სახალხო დამცველი. მაინც როგორი? აი, რაღაცნაირი, ვერც თავს გაუგებ, ვერც ბოლოს... საერთოდ რა უნდა, რისთვის დაიბადა და რისთვის დანიშნეს მაგ საყალთაბანდო თანამდებობაზე, თვითონაც არ იცის.

სანამ კონკრეტულ ფაქტებს გადმოგილაგებთ ჩემი ხურჯინიდან, მოდით, მოკლედ გავიხსენოთ, რა უფლება-მოვალეობა აკისრია ომბუდსმენს, ანუ სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას ორგანული კანონის თანახმად:

"საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემას, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა".

ვერ გეტყვით, კაი ქართულით დაწერილი კანონია-მეთქი, მაგრამ თუ გონებას დავძაბავთ, მივხვდებით, რომ სახალხო დამცველს ევალება მხოლოდ იმ ადამიანების დაცვა, ვისაც დაჩაგრავს რომელიმე სახელმწიფო უწყება, მორჩა და გათავდა. სხვათა შორის, ამას წინებზე ერთ-ერთი შემთხვევის დროს მან თქვა, ეგ მე არ მეხებაო და საზოგადოების ერთი ნაწილი აღშფოთდა — აბა, რანაირი სახალხო დამცველი ხარო? აქ ლომჯარია მართალი იყო... თუმცა ის ისეთ უცნაურ განცხადებებს აკეთებს, არც იმ შემთხვევაში ვარგა რამედ. მეტიც, მისი ყოველი განცხადება ახლად გაღვიძებულზე დაწერილსა ჰგავს. დავიწყოთ ბოლო ამბებიდან, როცა ცესკოს შენობასთან მიხეილ სააკაშვილის მიერ დაგეშილი ნარკომანები მივარდნენ და პოლიციელებს ქვები დაუშინეს, იყო ე.წ. მოლოტოვის კოქტეილებიც. პოლიცია ნამდვილად აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, საკადრისი პასუხი გასცა ბარბაროსებს — წყლის ჭავლით დაშალა. დიახ, ეს გახლდათ სრულიად ლეგიტიმური, რადგან თავზეხელაღებულ ჯგროს უნდოდა შენობაში შეჭრა, ბიულეტენების დაწვა და კომპიუტერული ტექნიკის განადგურება. ეს იყო, როგორც მეორე დღეს კოკაინზე შემჯდარმა სააკაშვილმა აღიარა, სერბული სცენარი, თან შეგვახსენა, მილოშევიჩი სწორედ ასე დაამხესო. ამავე დროს... როგორ გითხრათ, მიხოს კურცხალი გადმოუვარდა, ოღონდ თვალთაგან კი არა, პირიდან. ამას ჩვენში დორბლს, დუჟს, სინსილს, ლოპრსა და ლიზვასაც ეძახიან, მაგრამ მე, როგორც უზრდილობესიანი ადამიანი, ამას უბრალოდ კურცხალს დავარქმევ.

ჰოდა, იმას ვამბობდი... ცესკოსთან დატრიალებული ინციდენტის შესახებ სახალხო დამცველის ყურსაც მისწვდა (ავი ენები ამბობენ, "დაჟე" ადგილზეც მივიდაო) და ეგრევე გამოაცხო საგანგებო განცხადება. ნინო ლომჯარიას შეფასებით, პოლიციამ გამოიყენა არაპროპორციული ძალა, რაც უფრო მეტად პრევენციულ ღონისძებას და გაფრთხილებას ემსახურებოდა, ვიდრე წუთიერი საფრთხის ადეკვატური რეაქცია იყო. ვერ გაიგეთ, ხომ? პოლიციამ გამოიყენა არაპროპორციული ძალა, რაც უფრო მეტად პრევენციულ ღონისძიებას ემსახურებოდა, ვიდრე წუთიერი საფრთხის ადეკვატური რეაქცია იყოო. რაღა დაგიმალოთ, მეც ვერაფერი გავიგე... მოდით, ერთად წავიკითხოთ, რა თქვა შემდეგ:

"არსებობს შესაბამისი სტანდარტები, თუ როგორ უნდა მოხდეს ძალის გამოყენება ისე, რომ დაცული იყოს ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტი. პირველ რიგში, ძალის გამოყენება უნდა მოხდეს პროპორციულად. როგორც წესი, პოლიცია იწყებს და უნდა დაიწყოს ხმოვანი შეტყობინებით, მკაფიოდ გასაგები ფორმით განუმარტოს იქ შეკრებილ მოქალაქეებს, რომ გარკვეული დარღვევების შემთხვევაში დაიწყებს ძალის გამოყენებას. მნიშვნელოვანია, რომ პოლიციამ დაიწყოს ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი, ნაკლებად ძალისმიერი ზომის გამოყენება. მაგალითად, თუ არ არის ძალიან დიდი, აგრესიული და შეიარაღებული მასა, შესაძლებელია ეს იყოს ინდივიდუალური დაკავებები. რაც შეეხება წყლის ჭავლს, ზოგადად ცივ ამინდში პირდაპირ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე და არაპროპორციულად წყლის ჭავლის გამოყენება ითვლება და საერთაშორისო სტანდარტებით უთანაბრდება არასათანადო მოპყრობასაც კი".



აი, თურმე რაში ყოფილა საქმე... ცესკოსთან ბანდა მივარდა (სხვათა შორის, ეს ის ბანდაა, 20 ივნისს პარლამენტში შეჭრას რომ ლამობდა), ღობე გადაანგრია, პოლიციას ქვები დაუშინა და ამ დროს, თურმე, პოლიციას წყალი კი არ უნდა მიეშვა, სათითაოდ, ამორჩევით, ფაქიზად, ნაზად უნდა დაეკავებინა. თანაც ცივ ამინდში (ვინაიდან ცივი წყალი ცოტა უსიამოვნოა) ცივი წყლის მისხმა გავეშებული ბრბოსთვის არასასიამოვნო ყოფილა. უკაცრავად, მაგრამ ხშირად მგონია, რომ ეს ქალი აქ არ არი, სადღაც სხვა პლანეტაზეა წამოწოლილი ღამის პერანგით და პერიოდულად რაღაც სისულელეებს იტყობინება.

ლომჯარია ამით არ დაკმაყოფილდა, მოგვიანებით ისევ გამოაცხო რაღაცნაირი განცხადება:

"მივმართავ თხოვნით ხელისუფლებას, დაუყოვნებილივ გადადგას პოლიტიკური ნაბიჯები სიტუაციის დეესკალაციისკენ! ეს თქვენი პასუხისმგებლობაა! მივმართავ თხოვნით ოპოზიციის ლიდერებს, მოუწოდონ მომხრეებს სიმშვიდისკენ და გააკეთონ ყველაფერი ვითარების განსამუხტად! მივმართავ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, გააკეთონ ის, რაც გასაკეთებელია"!

ხედავთ? "სახალხო ქალბატონი" ჯერ თხოვნით მიმართავს ხელისუფლებას, შემდეგ კი ყველა თხოვნას ბოლოში უსვამს ძახილის (ბრძანების) ნიშანს. აუჰ, დაუყოვნებლივ გადადგით პოლიტიკური ნაბიჯები სიტუაციის დეესკალაციისკენო, დაუყოვნებლივო, ეხლავეო, ამ წუთასვეო, არ გამაბრაზოთო. ცესკოს ეუბნება, გააკეთეთ ის, რაც გასაკეთებელიაო. პირდაპირ ვერ ამბობს, გადადექითო, მაგდენზე ვერ რისკავს, რაც გასაკეთებელია, ის გააკეთეთო. და ვინ უთხრა ამას, რომ ცესკო არ აკეთებს იმას, რაც გასაკეთებელია?

ამავე ე.წ. აქციაზე გიჟად მყოფმა გიგი უგულავამ ჩაიდინა გაუგონარი რამ, თავს დაესხა ტელეკომპანია "იმედის" ჟურნალისტს რუსა შელიას. ცრუობთო, ობიექტურად არ აშუქებთ მოვლენებსო... შენს გადაცემაში გარეჯზე რომ ილაპარაკეთო, ეს რა უბედურებააო? ხანდახან მგონია, რომ ასეთი ავაზაკების წინააღმდეგ ჟურნალისტები ან მოუმზადებლები არიან, ან კიდევ იბნევიან. "იმედის" ჟურნალისტის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, პირდაპირ მივახლიდი: შე ქურდო, ყაჩაღო, ბიუჯეტის ვირთხავ, 50 მილიონის მომპარავო, რა უფლებით ლაპარაკობ ხალხის სახელით? ამას არ ვკმარებდი, გარეჯზეც ვეტყოდი, ახალგორზეც, კოდორზეც და ბიუჯეტის ფულით დუნდულებჩამოჭრილ მათხოჯ ცოლსაც ვუხსენებდი. არა, ეს იქით იწევს, ლამის ხელი დაარტყა, ოფლად იღვრება, გავეშებულია, პატრიოტიზმსა და სინდის-ნამუსზე ლაპარაკობს!

"სახალხო ქალბატონმა" ამ ინციდენტზეც გააკეთა რაღაცნაირი განცხადება (სტილი დაცულია):

"რამდენიმე მედია საშუალება აქტიურად გვიკავშირდება, სურთ სახალხო დამცველის კომენტარი ცესკოსთან მიმდინარე აქციაზე პოლიტიკოს გიგი უგულავას მიერ იმედის და საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტების მიმართ გამოხატულ შეფასებებზე.

გიგი უგულავას მიმართვა არ იყო ეთიკური, თუმცა, კომენტარი არ გაცდენია გამოხატვის თავისუფლების უფლებით დაცულ ფარგლებს, რა შემთხვევაშიც, ჩვენ აუცილებლად გვექნებოდა და გვექნება მომავალშიც რეაგირება".

ჯერ ამისი ქართული ნახეთ, ამისი გრამატიკა ნახეთ, სიტყვათა ღვლარჭნილობა ნახეთ და შემდეგ, ალბათ, აღარ უნდა გაგიკვირდეთ, რატომ ვერ აზროვნებს. ჰმ... გიგი უგულავას მიმართვა არ იყო ეთიკური, მაგრამ კომენტარი არ გასცდენია გამოხატვის თავისუფლების უფლებით დაცულ ფარგლებსო. არადა, ეს კომენტარი კი არა, უგულავას პირიდან ამოვარდნილი ქარიშხალი იყო კუილის თანხლებით!

ახლა კი დადგა დრო, მაგრად ვიცინოთ ნინო ლომჯარიას ცოტა ადრეულ "ქმედებებზე": ალბათ გახსოვთ 20 ივნისის ღამე, ლოთები და ნარკომანები პარლამენტში შეჭრას და დარბევას რომ ლამობდნენ, პოლიციას და სპეცრაზმელებს თავს რომ დაესხნენ... მეორე დღეს მისი შეფასება იყო ასეთი:

"პარლამენტის პიკეტირება კანონიერი არ არის, თუმცა ამ უკანონობაზე ის დეპუტატები არიან პასუხისმგებელნი, ვინც პროპორციულ სისტემას მხარი არ დაუჭირა“.

ესე იგი, რუსეთის პირწავარდნილი ვინმე მაქარაშვილი რომ მივარდა პარლამენტთან და პოლიციელებს წიხლები წაუშინა, იმ დეპუტატების ბრალი ყოფილა, რომლებმაც ხმა არ მისცეს პროპორციულ საარჩევნო სისტემას. ამას ამბობს ადამიანი, რომელსაც პრეტენზია აქვს დემოკრატიულობასა და თავისუფლებაზე. მისი აზრით, ყველა დეპუტატი ვალდებული იყო, ე.წ. ოპოზიციის დაკრულზე ეცეკვა. ვიცი, "სახალხო ქალი" იტყვის, ისინი ჭკუაზე ბიძინა ივანიშვილმა დაარიგაო. ამ დროს კახეთში იტყვიან ხოლმე, რა შენი ტრაკის საქმეაო? ჯერ ერთი, ეს არავინ იცის და მეორეც — პარტიის თავმჯდომარეს აქვს უფლება, თავისი პარტიის წევრები ჭკუაზეც დაარიგოს და დავალებებიც მისცეს.

ლომჯარია აცხადებს, კერძო საქმეები მე არ მეხება, მხოლოდ იმ საკითხებს განვიხილავ, თუ სახელმწიფო სჩაგრავს ადამიანებსო. თუმცა ის მექისეების საქმეშიც კი ერევა და სათანადო დასკვნებსაც აკეთებს. რამდენიმე თვის წინ სახალხო დამცველმა სექსუალური შევიწროების დადგენის თაობაზე შპს „ჭრელ აბანოს“ რეკომენდაციით მიმართა. იცით, რა მოხდა "ჭრელ აბანოში"? მექისემ ვიღაც უცხოელი სექსუალურად შეავიწროვა, საპნიანი "მაჩალკა" ცოტა უხეშად წაუხახუნა. აი, რას ამბობს კაცობრიობის დამცველი:

„საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მივიდა დასკვნამდე, რომ „მეფე ერეკლეს აბანოში“ მომსახურების მიღების დროს მექისე მამაკაცის მხრიდან ადგილი ჰქონდა პროფესიული მდგომარეობის გამოყენებით, განმცხადებლის მიმართ არასასურველი, სექსუალური ხასიათის ფიზიკურ ქცევას, რომელმაც ქალს დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემო შეუქმნა. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შპს „ჭრელ აბანოს“, მის საკუთრებაში არსებულ მომსახურების გამწევ დაწესებულებებში, მათ შორის „მეფე ერეკლეს აბანოში“ შეიმუშავოს მომსახურების გაწევის წესები; შეიმუშავოს შიდა მექანიზმი დასაქმებული პერსონალის მხრიდან პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს შესაძლო გადაცდომებზე ეფექტიანი და ადეკვატური რეაგირების უზრუნველსაყოფად; კომპანიის საკუთრებაში არსებული დაწესებულებების თანამშრომლებს ჩაუტარდეთ სექსუალური შევიწროვების საკითხებზე სასწავლო ტრენინგები".

როგორც ამ მიმართვიდან ირკვევა, კლიენტი იყო ქალი, ხოლო მექისე — კაცი. ეხლა როგორ გითხრათ... როცა შიშველი ქალი უწვება კაცს, თუნდაც მექისეს, ამ დროს შეიძლება ხახუნმა მოიმატოს. მაინც რა ტრენინგები უნდა ჩაუტარდეთ მექისეებს? ალბათ ცოტა შორიდან (დისტანციურად) უნდა იწუწაონ? ისე, ჩვენში დარჩეს და... თუ ქალს არაფერი უნდა, რას დაეთრევა აბანოში კაცებთან? როგორც ვიცი, მაგ აბანოში მექისე ქალებიც არიან. აი, ამაშია საქმე! თუმცა ლომჯარიამ ეს არ იცის, ან იცის და არ უნდა, რომ იცოდეს.

ვინ დანიშნა (დაამტკიცა) ეს უნიჭო ქალი სახალხო დამცველად? ოოო... ეს გახლავთ "ქართული ოცნების" კიდევ ერთი "ჩეპე". მართალია, მისი "დაქალოჩკები" (თამარ ჩუგოშვილი და დანი მისნი) პარტიიდან წავიდნენ თუ გარეკეს, მაგრამ ის დარჩა, 5 წლით არის არჩეული, 2 წელიწადი კიდევ უნდა ვითმინოთ.

ვითმინოთ რა, მე სულ ფეხებზე მკიდია, რას იბლაყუნებს "ნაციონალებთან" ჩახუტებულ-გაიგივებული არსება, მაგრამ უბრალოდ ფული მენანება, ტყუილად რომ იყრება წყალში, რაც ცოტა არ არის — 5 მილიონ ლარამდე აღწევს წელიწადში.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# რატომ უნდა დასახლდნენ ყარაბაღიდან დევნილი სომხები უძველეს ქართულ მიწაზე – აფხაზეთში და არა სომხეთში?!

ყარაბაღის ომი, რომელიც ათეული წლებია გრძელდება, გასულ კვირას დასრულდა და დასრულდა აზერბაიჯანული მხარის მნიშვნელოვანი წარმატებით.

ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც რუსული მხარის შუამდგომლობით დაიდო, აზერბაიჯანს დარჩა ყარაბაღის მიმდებარე აღდამის რაიონი და ყაზახის რაიონში სომხების მიერ დაკავებული აზერბაიჯანული ტერიტორიები, მთიანი ყარაბაღის ხაზისა და ლაჩინის მიწები, სადაც რუსული კონტიგენტი განთავსდება, კელბაჯარის რაიონი და გასასვლელ გზებს გააკონტროლებენ რუსი სამშვიდობოები თურქულ პოლიციასთან ერთად.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ომის დასრულებისთანავე განაცხადა, რომ სანამ ცოცხალია, სომხურ მხარეს არც ერთ გოჯ მიწას არ დაუთმობს.

ადრეც ვწერდი და კიდევ გავიმეორებ: აზერბაიჯანი რეგიონში უძლიერეს სახელმწიფოდ ყალიბდება და ეს არ არის მხოლოდ ნავთობის დამსახურება. აზერბაიჯანის მოსახლეობა სახელმწიფოებრივი განწყობით არის მოტივირებული და არათუ კარგავს, არამედ, როგორც დავინახეთ, იბრუნებს ტერიტორიებს.



სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა დამარცხებით აღშფოთებულ თავის თანამემამულეებს ვიდეო-მიმართვის დროს განუცხადა, რომ სხვა გამოსავალი არ იყო. ეს, რა თქმა უნდა, არ ყოფილა არც გულწრფელი და არც არგუმენტირებული პასუხი შეურაცხყოფილი სომხებისთვის, რომლებიც მთავრობის დასამხობად შეიჭრნენ სომხეთის პარლამენტში და პარლამენტის თავმჯდომარე სასტიკად სცემეს. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ დამარცხების გამო შურიძიებისთვის სომხები ნიკოლ ფაშინიანის მკვლელობასაც კი გეგმავდნენ.

როგორც ვხედავთ, დღემდე არ ცხრება სომხური პატრიოტიზმი ერევანში და ფაშინიანი სიტყვებს ვერ პოულობს, თავისი კაპიტულანტური ნაბიჯის გასამართლებლად...

მეზობლური კონფლიქტები არასდროს არის სახარბიელო, მით უმეტეს ისეთ რეგიონში, როგორიც კავკასიაა, გვერდი-გვერდ, რამდენადმე ჩაკეტილ გეოპოლიტიკურ სივრცეში, რადგან არავინ იცის, ცეცხლი საიდან და როგორ გაჩნდება, მით უმეტეს, მაშინ, როცა თვით საქართველოშიც არ არის სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა.

მედიასაშუალებები ომის პერიოდში იტყობინებოდნენ, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან სომხური ეროვნების მოქალაქეები მასიურად წავიდნენ ყარაბაღის ომში და ეს არ მომხდარა დამალულად. ნინოწმინდისა და ახალქალაქის სპორტულ სტადიონებზე შეიკრიბნენ და ომში წამსვლელთა სია შეადგინეს. მალევე მედიით გავრცელდა საქართველოს მოქალაქე, სომეხი ეროვნების მებრძოლთა სია, რომლებიც ყარაბაღის ომში გარდაიცვალნენ (მათ ალბათ ძეგლებს დაუდგამენ საქართველოში აქ მაცხოვრებელი სომხები), ვინც გადარჩა, ნაწილმა სომხეთის მოქალაქეობა მიიღო, ნაწილი კი ისევ იმ კონსპირაციული გზებით დაბრუნდება საქართველოში, სადაც, სავარაუდოდ, ჯერჯერობით, მდგმურებად თვლიან თავს. ასე რომ არ იყოს, საქართველოს საფრთხეს არ შეუქმნიდნენ და არ წავიდოდნენ იმ ომში, რომელშიც ის სახელმწიფო არაა ჩართული, სადაც ისინი ცხოვრობენ. მეტიც, უკმაყოფილოებიც კი იყვნენ: საქართველო რატომ არ იჭერს ამ კონფლიქტში სომხების მხარესო, საქართველოს ადანაშაულებენ დღესაც, რატომ არ დაუშვა ქართულმა მხარემ სომხეთში სამხედრო ტვირთების ტრანზიტიო.

თავად სომხეთი არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა — ერთ მხარეს მტრად აღიარებული თურქეთი, მეორე მხარეს გამარჯვებული აზერბაიჯანი, იქეთ — რუსეთი, რომელმაც მოულოდნელად აზერბაიჯანის სასარგებლოდ გადასწია სასწორის პინა და საქართველო, რომელიც მას მხარში არ დაუდგა.

სომხებს რომ ჰკითხო, ყველაფერი რუსეთის მოწყობილია, აზერბაიჯანი ვერაფერს იზამდა, რუსეთი რომ არ ჩარეულიყო ამ კონფლიქტში, რუსეთი ოკუპანტია, როგორც საქართველოში, ასევე სომხეთშიო, ამბობენ.

სინამდვილეში, რუსეთმა გაიფართოვა გავლენების არეალი კავკასიაში. სომხეთის დასუსტებაში, აზერბაიჯანისთვის ომში ხელშეწყობით, მასზე მანიპულირების საშუალებასთან ერთად აზერბაიჯანზეც მოიპოვა გავლენა, ამ სვლით აზერბაიჯანის გულიც მოიგო და თურქეთისაც. თურქეთსაც, როგორ იტყვიან, კოჭი გაუგორა, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ თურქეთს ხელ-ფეხი არ ექნება გახსნილი საქართველოში თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის. სხვათა შორის, პოლიტიკურ ინტერესებს არავინ დაუბრკოლებს საქართველოსთან მიმართებაში არც აზერბაიჯანს და არც სომხეთს, რადგან რეგიონში საქართველო აბსოლუტურად მარტო და დაუცველი რჩება, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თავისი აბსტრაქტული პოლიტიკური ინტერესებით.

როგორც ვხედავთ, რეგიონში ყველას თავისი ინტერესი აქვს და საქართველო თეთრი ყვავი გამოდის თავისი გაურკვეველი პოლიტიკური გზით, ანუ ის რჩება სამხრეთ კავკასიაში ერთი პატარა „კუნძული“ სეპარატისტული და ოკუპირებული რეგიონებით, ნატოსკენ მიმავალი, იმ მოცემულობაში, როცა სეპარატიზმი სამცხე-ჯავახეთშიც ნელ-ნელა დღესავით ნათელი ხდება.

რუსული და აფხაზური ინტერნეტგამოცემები იუწყებიან, რომ ახრა ავიძბამ, რომელიც აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი გახლავთ საერთაშორისო საკითხებში, განაცხადა, რომ აუცილებელია აფხაზეთმა გაუხსნას დერეფანი მთიანი ყარაბაღიდან წამოსულ დევნილებს.

„ამ რთულ სიტუაციაში ჩვენ ხელი უნდა გავუწოდოთ ადამიანებს, რომლებსაც უჭირთ, ისე, როგორც ამას აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები“, — დაწერა თავის ფეისბუკ-გვერდზე ახრა ავიძბამ.

იგი მიიჩნევს, რომ თანამემამულეები, პოლიტიკური ძალები და სომხური დიასპორა აფხაზეთში და თავად ასლან ბჟანია, აფხაზეთის ლიდერი, ვალდებულნი არიან მიმართონ რუსეთის პრეზიდენტს, დაეხმარონ „არცახის რესპუბლიკიდან“ დევნილი სომეხი მოსახლეობისთვის დერეფნის გახსნაში.



ახრა ავიძბა

აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი წინააღმდეგია ავიძბას ამ გადაწყვეტილების. ვინმე **„Сандрик из Абхазиа“** თავის ფეისბუკ-გვერდზე წერს: „მე პატივს ვცემ სომხეთს და სომეხ ხალხს, მაგრამ მათ აქვთ თავიანთი ქვეყანა და თავიანთი დერეფანი. ჰუმანიტარული დახმარება ჩვენ უნდა გავუწიოთ, მაგრამ არა სამხედრო ტექნიკით და არმიით. წინააღმდეგი ვართ არა მხოლოდ სომხების აფხაზეთში ჩასახლების, არ გეწყინოთ და, არც ერთი სხვა ეროვნების. ამას არ დავუშვებთ. ჩვენ დენთის კასრზე ვზივართ“.

ავიძბა თავად იბრძოდა ომში დონბასში და ის თანაუგრძნობდა სომეხ მებრძოლებს, ის იყო ერთ-ერთი ხელშემწყობი აფხაზეთიდან ბაგრამიანის ბატალიონის გამგზავრების მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში. თუმცა სანამ ბაგრამიანის ბატალიონის მებრძოლები „არცახში“ გაემგზავრებოდნენ, მანამდე დასრულდა კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, იმის მიუხედავად, რომ სიამაყით ელოდა ყარაბაღში თანამემამულეებს სომხების მიერ „არცახად“ წოდებული ყარაბაღის ლიდერი არაიკ არუთინიანი.

როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, სანამ საომარი კონფლიქტი დამთავრდებოდა, ჯერ კიდევ მანამდე ჰქონდათ აფხაზეთის სეპარატისტულ ჯგუფებსა და სომხებს მოლაპარაკებები იმის თაობაზე, რომ, ამ ომის მიმდინარეობისას, 3000–4000 მშვიდობიანი სომეხი მოსახლეობა გაეგზავნათ აფხაზეთში. სომხები თვლიან, რომ თვითონ უნდა გახდნენ ბატონ-პატრონები, როგორც უწოდებენ, „რუსეთის შავიზღვისპირეთის“. ამასვე აცხადებს სომეხი კრიმინალური ავტორიტეტი რუბენ ტატულიანი, იგივე „რობსონი“.



დღესდღეობით სომხური ლობის წინაშე ამოცანა დგას, როგორ გადაიყვანონ აფხაზეთში სულ მცირე 50 000 ყარაბაღელი სომეხი დევნილი და 100-დან 200 000-მდე ლიბანელი სომეხი ეროვნების მოსახლეობა კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეში.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთში დღეს 60 000 აფხაზი ცხოვრობს და 110 000 სომეხი, რომლებსაც, სავარაუდოდ, კიდევ მიემატება 10 000-მდე სომეხი ეროვნების დევნილი ოჯახი ყარაბაღიდან.

მაგრამ რატომ უნდა დასახლდნენ ყარაბაღიდან დევნილი სომხები უძველეს ქართულ მიწაზე, აფხაზეთში და არა სომხეთში? მით უფრო, რომ თურქეთიდან გამოდევნილ სომხებს თავის დროზე საქართველომ რომ გაუღო კარი, სომხები, მადლიერების ნაცვლად, ამასაც დღემდე ქართული მხარის ნებას კი არა, იძულებას ეძახიან და ჯავახეთში ავტონომიისკენ მიუწევთ გული...

რაც შეეხება ახრა ავიძბას, მას თავის თანამოაზრეებთან ერთად დევნილებისთვის დერეფნის გზაც აქვს განსაზღვრული სომეხი ლტოლვილებისთვის— ეს გზა უნდა გადიოდეს მდინარე ფსოუზე, რადგან ყველა სხვა გზა, ენგურის ჩათვლით, დაკეტილია.

ყველაფერს, ართულებს კორონავირუსიც.

როგორც ვხედავთ, სიტუაცია არცთუ სახარბიელოა ჩვენთვის. საქართველოს ოკუპირებულ, სეპარატისტულ ტერიტორიაზე, უძველეს ქართულ მიწაზე, აფხაზეთში, სულ რამდენიმე კილომეტრში სამეგრელოდან, თავს იყრიან სხვადასხვა ომების მონაწილე ცნობილი ბოევიკი ავიძბა თავის თანამებრძოლებთან ერთად, ყარაბაღიდან წამოსული დევნილები, ამ ომში ნაბრძოლი ხალხი, ბაგრამიანის ბატალიონის წევრები და სომეხი კრიმინალური ავტორიტეტები.

საქართველო კი შიდა დაპირისპირებების ცეცხლშია გახვეული.

17 ნოემბერს ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ეწვევა საქართველოს...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# მთელი ცხოვრება ამ გამარჯვების მისაღწევად

## 20 ნოემბერს ჯო ბაიდენს 78 წელი უსრულდება

**როცა აგვისტოს თვეში დემოკრატიულმა პარტიამ ჯო ბაიდენი პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატად წამოაყენა, ის, როგორც იქნა, იმ მიზანს მიუახლოვდა, რომლისკენაც კარიერის სამ ათეულ წელზე მეტ ხანს მიდიოდა. 2020 წლის 7 ნოემბრისთვის ბაიდენმა ამომრჩეველთა საბჭოს წევრთა საკმარისი ხმები მოიპოვა იმისთვის, რომ აშშ-ის 46-ე პრეზიდენტი გამხდარიყო.**



77 წლის პოლიტიკოსი დიდი ხნის განმავლობაში დელავერის შტატიდან ამერიკის სენატორი იყო, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის ორი ვადის განმავლობაში კი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ეკავა. მონაწილეობას იღებდა 1988 და 2008 წლების საპრეზიდენტო კამპანიებში, მაგრამ ორივეჯერ საკუთარი პარტიის მხარდაჭერის გარეშე დარჩა. ამბობდნენ, რომ მას 2016 წლის არჩევნებშიც უნდოდა თავისი კანდიდატურის წამოყენება, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ დემოკრატიული პარტიის ფავორიტი ჰილარი კლინტონი იყო და გვერდზე გადგა.

ბაიდენმა წინასაარჩევნო მარათონში ჩაბმის შესახებ 2019 წლის აპრილში, დიდი ხნის განსჯის შემდეგ განაცხადა. დემოკრატიულ პარტიას დიდი არჩევანი ჰქონდა — 20-მდე უფრო ახალგაზრდა, უფრო ლიბერალური კანდიდატი, რომელთაც შეიძლება „მემარცხენეებიც“ კი უწოდო. ბაიდენმა კი საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა და განაცხადა, რომ ქვეყანას, რომელიც, როგორც თავად თვლიდა, დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის წლებში „ბრძოლის ველს“ დაემსგავსა, სადაც „ნაციის ძირითადი ფასეულობები, ქვეყნის მსოფლიოში მდგომარეობა და დემოკრატიის საფუძვლები“ ფეთქდება, სტაბილურობას დაუბრუნებდა.

„ჩვენ ნაციის სულისთვის ვიბრძვით, — განაცხადა საკუთარი კანდიდატურის წარდგენისას. — თუ ტრამპი კიდევ 4 წლიწადს დარჩება თეთრ სახლში, ის საფუძვლიანად შეცვლის ამერიკის ხასიათს, ჩვენ, ყველას და მე არ შემიძლია, ამას გვერდიდან ვუყურო“.

თუმცა დემოკრატიულ პარტიაში სტაბილურობაზე საუბარს ენთუზიაზმი არ გამოუწვევია. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ პარტიის ახალგაზრდული ფრთა ან უფრო რადიკალურ კანდიდატებს ემხრობოდა, როგორებიც ბერნი სანდერსი და ელიზაბეტ უორენი არიან (ორივე 70 წლისაა), ან შედარებით ზომიერ ახალგაზრდებს. წარმატებას ბაიდენმა მხოლოდ მეოთხე შტატში, სამხრეთ კაროლინაში მიაღწია თებერვლის ბოლოს, სადაც აფრო-ამერიკელების დიდი მხარდაჭერა მოიპოვა.

### ყველაზე ასაკოვანი პრეზიდენტი

20 ნოემბერს ჯო ბაიდენს 78 წელი უსრულდება. ამ დრომდე



ყველაზე ასაკოვანი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი იყო, რომელიც 2016 წლის არჩევნების დროს 70 წლის იყო.

კრიტიკოსებს ეჭვი ეპარებათ, რომ ბაიდენი ქვეყნის მართვას შეძლებს. ბაიდენმა კი მათი ეჭვები გააქარწყლა, როცა განაცხადა, რომ ბავშვობაში ენა ებმოდა, რასაც წარმატებით გაართვა თავი.

ბაიდენის ყველაზე ურყევი მხარდამჭერები ძალიან აფასებენ მის ფართო ღიმილსა და თანამოსაუბრეების მიმართ კეთილგანწყობას.

ბაიდენი საშუალო კლასის კათოლიკურ ოჯახში დაიბადა მეორე მსოფლიო ომის დროს. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ის იოლად ახერხებს პირადი კონტაქტების დამყარებას ამომრჩევლებთან იმის გამო, რომ თავადაც ბევრი უბედურება და სიღარიბე გადაიტანა. მისი პირველი ცოლი და პატარა გოგონა ავტოკატასტროფაში გარდაიცვალნენ მას შემდეგ, რაც ბაიდენი პირველად აირჩიეს სენატში 1972 წელს. ის მაშინ 29 წლის იყო. ცოცხლად დარჩენილი ორი ვაჟისთვის — ბოსა და ჰანტერისთვის მეტი დრო რომ ჰქონოდა, მას თანამდებობის დატოვება უნდოდა, მაგრამ კოლეგებმა გადააფიქრებინეს.

ჯერ კიდევ მაშინ, 1972-ში, შვილებთან ერთად რომ ყოფილიყო და თან ემუშავა, ის სამსახურში დელავერის შტატიდან ვაშინგტონში დადიოდა. მატარებლით ყოველდღიურმა მგზავრობამ მის პოლიტიკურ სტრატეგიაზე დიდი გავლენა მოახდინა. 2020 წლის საარჩევნო კამპანიის დროს ბაიდენმა „სარკინიგზო რევოლუციისკენ“ მოუწოდა, რომელიც, მისი აზრით, ხელს შეუწყობს გარემოს გაჯანსაღებას და იმ დაბალშემოსავლიან ოჯახებს დაეხმარება, რომლებიც საზოგადოებრივი ტრანსპორტის იმედად არიან.

### გამოცდილება საგარეო პოლიტიკაში

პრეზიდენტმა ობამამ, რომელმაც 2008 წელს გაიმარჯვა, ბაიდენი მეწყვილედ აიყვანა, რადგან სენატორს აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში მონაწილეობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. ობამას ვიეტნამის ომის ვეტერანისა და სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის წევრის ჯონ მაკკეინის წინააღმდეგ ბრძოლა მოუწია, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში. ბაიდენის გამოცდილება ობამას ძალიან გამოადგა. ბაიდენი მთელი ათწლეულის განმავლობაში იყო ჯერ წევრი, ხოლო შემდეგ კი თავმჯდომარე სენატის პროფილური კომიტეტისა. მას ჰქონდა იასეთი ადამიანის რეპუტაცია, რომელსაც უნარი შესწევს, ესაუბროს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ლიდერს.

საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის რანგში ის აგვარებდა ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებსაც.

როგორც ვიცე-პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გამოხატა საქართველოსა და უკრაინის მიმართ.

სწორედ უკრაინასთან ურთიერთობა გახდა მოწინააღმდეგეების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული ბრალდებების საფუძველი. ტრამპის ვერსიის მიხედვით, ვიცე-პრეზიდენტობის დროს ბაიდენმა მიაღწია გაზის კომპანია „ბურისმას“ მიმართ დაწყებული ანტიკორუფციული გამოძიების შეწყვეტას, სადაც მისი ვაჟი ჰანტერი მუშაობდა და გენპროკურორის ვიქტორ შოკინის გადადგომას. თითქოსდა ბაიდენი იმუქრებოდა, რომ უკრაინას ამერიკის მთავრობის საკრედიტო გარანტიებს შეუჩერებდა, რომლის რაოდენობა 1 მლრდ აშშ-ის დოლარი იყო. თავად ბაიდენი კი ამტკიცებს, რომ სწორედ იმიტომ უნდოდა შოკინის გათავისუფლება, რომ ის არასაკმარისი მონდომებით ებრძოდა კორუფციას.

მრავალრიცხოვანმა გამოძიებამ ეს ყოველივე არ დაადასტურა.

### ყველაზე ღარიბი სენატორი

დიდი ხნის განმავლობაში კაპიტოლიუმის ბორცვებზე ბაიდენი ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი სენატორი იყო, მხოლოდ ხელფასით ცხოვრობდა და სხვა შემოსავალი არ ჰქონია. თუმცა, ორი წლის შემდეგ, რაც მან ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დატოვა, მისმა და მისი ცოლის შემოსავალმა 15,6 მლნ დოლარი შეადგინა — ძირითადად, ეს გახლდათ საჯარო გამოსვლებისა და წიგნების ჰონორარი. საგადასახადო დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ 2017 წელს ჯომ და ჯილმა გადასახადების სახით 3,7 მლნ დოლარი, ხოლო 2018 წელს — 1,5 მლნ დოლარი გადაიხადეს. 2019 წელს კი ცოლ-ქმარმა მხოლოდ 300 000 დოლარი გადაიხადა ფედერალური გადასახადების სახით, მათმა შემოსავალმა კი 985 000 დოლარი შეადგინა.

### ბაიდენის მიზანი – ამერიკის გაერთიანებაა

ჯო ბაიდენს წინააღმდეგობებით გახლეჩილი ამერიკის გაერთიანება სურს. „თუ თქვენ პრეზიდენტობას მანდობთ, მე ჩვენში ვეცდები მხოლოდ ყველაფერი საუკეთესო აღმოვაჩინო და სინათლის მოკავშირე ვიქნები. დროა, ყველა გავერთიანდეთ“, — განაცხადა მან, როდესაც დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინეს.

ბაიდენი ამომრჩევლებს დაპირდა მილიონობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნას და დააზუსტა, რომ ინვესტიციების მოპოვება შესაძლებელი იქნება მდიდრებისთვის გადასახადების შემცირებაზე უარის თქმის ხარჯზე, რომელიც დონალდ ტრამპმა შემოიღო.

### ტყუილი თუ მართალი

რაც შეეხება ჯოს ცხოვრების თანამგზავრსა და მის შეუცვლელ მრჩეველს — ჯილ ბაიდენს, მისი პირველი ქმარი, ყოფილი ფეხბურთელი ბილ სტივენსონი ამტკიცებს, რომ მის პირველ ცოლსა და ჯო ბაიდენს შორის რომანი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ჯილი მისი მეუღლე იყო და ბაიდენის პირველი ცოლიც ცოცხალი იყო. თითქოსდა ბილმა და ჯილმა ბაიდენი ჯერ კიდევ 1972 წელს გაიცნეს ბაიდენის საარჩევნო კამპანიაზე მუშაობის დროს, როცა ის სენატის წევრობას აპირებდა.

ბილი ასევე ამტკიცებს, რომ ცოლის ღალატში ჯერ კიდევ 1974 წელს დარწმუნდა და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო განქორწინების პროცესი. ჯილი და ჯო ბაიდენები არც კი აპირებენ ამ განცხადებებზე პასუხის გაცემას — თავმოყვარეობაშელახული მამაკაცი რას არ მოიგონებსო...

**ბელა გველესიანი**
568 901 81 22

## ელენე ბარათაშვილის ხსოვნას



**გასულ კვირას ელენე ბარათაშვილი დავკრძალეთ.**

**ულამაზესი ქალბატონი, შესანიშნავი ადამიანი, პროფესიონალი ჟურნალისტი, ერთგული მეგობარი, მზრუნველი დედა.**

**მართლაც შეუცნობელია ღვთის განგებულება და გასაკვირია, ელენესნაირ ადამიანს რატომ უნდა ეტანჯა ავადმყოფობისგან ხანგრძლივი დროით და რატომ უნდა გაფრენილიყო ნაადრევად მისი ნათელი სული ამ ცოდვილი სამყაროდან?!**

**გულდაწყვეტილები ვუცხადებთ სამძიმარს მის ერთადერთ ქალიშვილს, ნათესავებს, ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებს. მშვიდობით, ძვირფასო ელენე.**

„საერთო გაზეთი“

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
9 772233 398001